# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 22 აგვისტო 1995 № 51 (189) | ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

# დავბრუნდი !!!



წინა კვირაში დიდი სპორტსმენები — მონიკა სელეში და მაიკ ტაისონი დაუბრუნდნენ ასპარეზს, რომელთანაც თავის დროზე იძულებით მოუხდათ გამოთხოვება.

სელეში, მოგეხსენებათ, კონკურენტის გიჟმა ქომაგმა ბეჭში დანით დაჭრა ამ ორნახევარი წლის წინ. მას აქეთ მონიკა კი მოკეთდა, მაგრამ დიდ სარბიელზე დაბრუნებისა ეშინოდა — ეგონა, ძველ დონესა და დიდებას ველარასოდეს შესწვდებოდა. თუ რარიგ ცდებოდა 21 წლის ქალი, კანადის ღია პირველობამ დაგვანახა — სელეშმა ისე მოიგო ტურნირი, ერთი ხელი რაა, ისიც არ წაუგია.



ტაისონი, ალბათ ესეც მოგეხსენებათ, ვილაც მათხოჯის ვითომდაც გაბახვისთვის ჩააგდო ციხეში მავანმა ვაჟთმოძულე მოსამართლე ქალმა. შფოთისთავი და უსწავლელი მოკრივე საპყრობილეში სწავლას დაეწაფა და ზნე და რჯულიც გამოიცვალა — ისლამზე მიიქცა და დადინჯდა, ციხიდან გამოშვებულმა კი კარგადაც ივარჯიშა. კვირას, გამთენიისას, ტაისონმა ლას-ვეგასში ცემა კი დაუპირა ფაქტიურად უცნობ მეტოქეს, მაგრამ არ აცალეს. ერთი სიტყვით, რა უცნაურადაც გამოეთხოვა რინგს ამ ოთხი წლის წინ, ისევე გამორჩეულად დაბრუნდა.

მონიკასა და მაიკის ამბავი იხილეთ მერვე გვერდზე

## «ჯორჯია» ქინქლაძისათვის



გიორგი ქინქლაძის დებიუტი ინგლისის პრემიერლიგაში მეტად წარმატებული გამოდგა. მისი „მანჩესტერ სიტი“ ჩემპიონატის პირველ მატჩში „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ თავიდან აგებდა. სტუმართაგან გოლი, რომელიც „სიტის“ მწვრთნელის ალან ბოლის თქმით, უეჭველი თამაშგარედან გავიდა, შერინგემმა შეაგდო, მაგრამ მეორე ტაიმის მეშვიდე წუთზე გერმანელმა უვე როსლერმა გაქვითა — 1:1. ბოლმა მატჩამდე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ახალი ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე არის ერთად აღებული მერდუზი, ბესტი და ლეტისიე. მესამე გვარი მკითხველთათვის ალბათ უცნობია, ამიტომ გეტყვით, რომ ლეტისიე „საუთჰემპტონის“ მოთამაშეა, რომელმაც იმავე დღეს, როდესაც „სიტი „ტოტენჰემს“ მასპინძლობდა, „ნოტინგემ ფორესტს“ სამი გოლი გაუტანა (ტურის შედეგები იხ. მესამე გვერდზე). გიორგის თამაშს ინგლისურ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. „სანის“ საკვირაო დამატებამ „News of the World“ მას ათბალიანი სისტემით რვა დაუწერა, რაც არცთუ ხშირია. მაგალითად, ასევე რვა ქულა მიიღო „ჩელსი“ — „ევერტონის“ თამაშში რუუდ გულიტმა, ხოლო ცხრა მთელს ტურში მხოლოდ ორმა მოთამაშემ დაიმსახურა. ამავე გაზეთმა ქინქლაძე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა. თავად „სანმა“ კი გუშინდელ ნომერში, მართალია, გიორგისთვის ასევე რვა ქულა გაიმეტა, მაგრამ საუკეთესოდ არ მიუჩნევია, ასეთად მისი თანაგუნდელი, უელსის ნაკრების წევრი საიმონსი დაასახელა და ცხრა ქულა არგუნა. „სანის“ თქმით, მანჩესტერის „მეინ როუდზე“ პირველივე წუთიდან შიგადაშიგ მრავალდეციბალიანი ხმაური ტყდებოდა და ეს მაშინ ხდებოდა, როცა ბურთს ქინქლაძე მიიღებდა. „სიტის“ საპასუხო გოლის ავტორმა უვე როსლერმა მატჩის შემდეგ განაცხადა: „ქინქლაძე სასწაულებრივ ფლობს ბურთს. თანაც ამ კაცმა თამაშამდე გუნდთან მხოლოდ ორჯერ ივარჯიშა. „მანჩესტერ სიტიმ“ მისგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ.“

გუშინწინ „ობზერვერი“ წერდა: „ქინქლაძემ გამოავლინა მოედნის საოცარი ხედვა, მშვენიერი დრიბლინგი, უნაკლო თამაში მარცხენა ფეხით და, რაც მთავარია, იგი არასდროს კარგავს წონასწორობას გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უცოდინარობის გამო ვინმე რუსს უწოდებს.“ ამასთან დაკავშირებით, „სიტის“ ქომაგებმა „მეინ როუდის“ დირექციას მოსთხოვეს, ყოველი მატჩის წინ რეი ჩარლზის „ჯორჯია“ დაუკრან. „სანდი ტაიმსი“ წერდა, რომ ქინქლაძე მომავალი ლაიამ ბრეიდია. გაზეთის აზრით, მას მრავლისმეტყველი დებიუტი ჰქონდა და აღნიშნავს, რომ „სიტის“ სამივე დებიუტანტმა გიორგიმ, კიტ საიმონსმა და გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ აიკე იმელმა კარგად ითამაშეს, თუმცა მაინც ეტყობოდათ, რომ ერთად არ უვარჯიშიათო. თავად ამ სამეულში კი „სანდი ტაიმსი“ მაინც ქართველ ლეგიონერს ანიჭებდა უპირატესობას. ერთადერთი გაზეთი, რომელსაც ამ მატჩში არაფერი მოეწონა, მათ რიცხვში გიორგი ქინქლაძის თამაშიც, „დეილი მირორი“ გახლდათ. მისი შეფასებით, ქინქლაძემ ექვსი ქულა დაიმსახურა. გუშინდელი „ტაიმსის“ აზრით კი, „მანჩესტერ სიტის“ ნახევარდაცვამ მოულოდნელად კარგად ითამაშა, რაც გიორგის დამსახურებად მიაჩნია.

თამაშის შემდეგ გიომ ლონდონში დამირეკა და მითხრა, რომ ბოლმა იგი პირველ ტაიმში მარცხენა ნახევარმცველად ათამაშა, შესვენების შემდეგ კი შუაში მიუჩინა ადგილი. სტადიონზე იგი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ უღიარებიათ და დიდი ლარნაკი და უშველებელი ბოთლით შამპანური უჩუქებიათ. ალან ბოლს განუცხადებია, დღეს ამ ბიჭის საუკეთესო თამაში სულაც არ იყოო, ხოლო გვიან საღამოს მასთან სასტუმროში მისულა და საგანგებო მადლობა უთქვამს. ჩემს შეკითხვაზე, თამაშის გიჟურ ტემპს როგორ გაუძელი-მეთქი, ქინქლაძემ მიპასუხა:

— ასეთ ტემპში არასოდეს მითამაშია, კიდევ კარგი, ერთი-ორჯერ მაინც ვივარჯიშე გუნდთან ერთად, თორემ ძალიან გამიჭირდებოდა. საერთოდ, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ის უფრო მიხარია, რომ მწვრთნელს მოვეწონე.

გიორგი სასტუმროში ცხოვრობს — მარტოკაცს სახლი რად მინდაო. რაც შეეხება მანქანას, კლუბის ხელმძღვანელობამ ბოლო მოდელის „ფორდი“ მისცა.

„მანჩესტერ სიტის“ შემდეგი ორი თამაში სტუმრად უწევს, ხვალ „ქოვენთრი სიტისთან“ და შაბათს „ქვინზ პარკ რეინჯერსთან“. რაც შეეხება 6 სექტემბრის გერმანია — საქართველოს თამაშს, გიორგი ნაკრებს 2 სექტემბერს ფრანკფურტში შეუერთდება.

ზურაბ მეძველია
ლონდონიდან

## დღეს უეფას თასის საპასუხო მატჩებია

### 18.00. ბათუმი. სამტრედია–ვარდარი (0:1)

### 20.00. თბილისი. დინამო–ბოტევი (0:1)

თბილისელთა ბულგარელი მეტოქეები გუშინ 13 საათზე ჩამოფრინდნენ და 20 საათზე ივარჯიშეს კიდეც. კლუბის პრეს-ცენტრის უფროსმა ოვო დიონისევმა გავითხრა, რომ ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და მოსაგებადაა განწყობილი.

„სამტრედიას“, რომელიც დღეს 18 საათზე „ვარდარს“ ხვდება, არ ეყოლება ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ბუბა ტყავაძე, რომელმაც „ეგრისთან“ მატჩის მეორმოცე წუთზე საზარდული გაიწყვიტა და მინიმუმ ერთი თვე მაინც მოუნდება მკურნალობას.

## ზეგ. თასების თასზე:

### ბათუმი. ბათუმი – ობილიცი (1:0)

„დინამოსა" და „ბათუმის“ მზადების ამბები იხილეთ მეორე გვერდზე

## გაბრაზებული ხახალეიშვილი ამერიკის ჩემპიონია

თ...ჭარებული ცხვარიც ცხარეა, გა...ზებული მძიმეწონოსანი ძიუდოისტი, ...ნაც ვინ — ოლიმპიური ჩემპიონი რაღა ...ენება...

წინა „სარბიელში“ უკვე გაუწყეთ, რომ ...ლანტაში შეკრებაზე მყოფი ქართველი ...უდოისტები ამერიკელებმა თავიანთ ღია ...მპიონატზე მიიწვიეს. მიპატიჟებულნი ...ვებიც იყვნენ და თანაც იმდენნი, რომ სა...ოლოდ 28 ქვეყანა გამოვიდა, კაცებში კი ...9 მონაწილე შეიკრიბა. ჩვენებიდან ყვე...აზე სახელიანს, ოლიმპიურ ჩემპიონ და...თ ხახალეიშვილს რაც აქ ევარჯიშა, ის ...ო, მანამდე უვარჯიშებელიც გახლდათ ... წონამოჭარბებულიც. ამერიკელ დე...ს 55 წამში მოუგო, არგენტინელ ბაჩი...ს ოთხნახევარ წუთში, მერე ბრაზილიელი ნერი შებოჭა და ვენესუელელი მონასტერიოც მესამე წუთზე იპონით გაისტუმრა. მძიმე წონის ფინალმა ორი ოლიმპიური ჩემპიონი შეჰყარა ერთმანეთს — ბერსელონისა ხახალეიშვილი და სეულისა აურელიო მიგელი ბრაზილიიდან. დაგიფიცებთ, მსაჯობა უსაზიზღრესი იყო: როცა მიგელი უნდა გაეფრთხილებინათ, დათო გააფრთხილეს, მერე ხახალეიშვილმა ილეთი გააკეთა, რომელიც კოკად შეუფასეს, არადა, ვაზარი თუ ჰრა, იუკო მაინც იყო. შემდგომ ორივე გააფრთხილეს, ჩვენსას კეიკოკუ არგუნეს, ბრაზილიელს — ჩუი. ერთი სიტყვით, მიგელს კი მოაგებინეს, მაგრამ ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი — ამერიკის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი იძულებული შეიქნა ჩვენებთან მოსულიყო, დათოსთვის და საქართველოს ნაკრების თავკაცისთვის ბიძინა მაზიაშვილისთვის ბოდიში მოეხადა, ის მსაჯი კი შეჯიბრებიდან მოხსნეს. რა ხასიათზე დადგა ხახალეიშვილი, ეს მეორე დღეს, 19 აგვისტოს გამოჩნდა აბსოლუტურ წონაში. მიგელმა თითქოს დააპირა გამოსვლა, მაგრამ მერე, აქაოდა, ჩემპიონი ხომ უკვე გავხდიო, უარი თქვა, დათომ კი პირველ ოთხ შეხვედრას სულ 3 წუთი და 20 წამი მოანდომა (წმინდად მოუგო ავსტრალიელ საბოს, ამერიკელ ჩარაპიას, კორეელ ჩანგს, ამერიკელ ფელტონს), ბოლომდე მხოლოდ მეხუთემ, კორეელმა კიმმა გაუძლო (ამან იუკოთი წაგება „მოახერხა“) და ბოლო მეტოქეც ეს გამოდგა: საფინალო მეტოქეს კუნთი დასჭიმვოდა და ოქროში შეცილებაზე უარი თქვა, მაგრამ, იმას აღარ იკითხავთ, ვინლა იყო — ჩვენი მძიმეწონოსანი ალექსი დავითაშვილი გახლდათ! წინა დღეს, მძიმე წონაში, ალექსიმაც კარგად დაიწყო შეჯიბრი, მაგრამ სამი გამარჯვების მერე სწორედ მიგელს გადაეყარა და წააგო. ხახალეიშვილის და დავითაშვილის ერთ ოქროსა და ორ ვერცხლის მედალს ივერი ჯიქურაულმაც ვერცხლი დაამატა. 95 კგ წონაში ოთხ მეტოქეს წმინდად, თავაც ოთხივეს მესამე წუთზე მოუგო და ფინალში ბარსელონის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონს ბრიტანელ რეიმონდ სტივენსს შეხვდა. ბოლოსკენ სტივენსმა იმარჯვა და გაიმარჯვა კიდეც. ბევრმა იქნებ გაიკვირვოს, ჯიქურაული ხომ 86 კგ-ში გამოდის, უფრო მძიმეში რა უნდოდაო. საქმე ის გახლავთ, რომ მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ჩვენებიდან წონა საგანგებოდ არავის დაუკლია, ასე რომ, უმეტესობა უჩვეულო, თავის წონაზე მაღალ კატეგორიაში ასპარეზობდა.

მერაბ რატიშვილი,
ატლანტიდან

ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ თასის პირველ სასტუმრო მატჩში წარმატება, „დინამოსა" და „სამტრედიას" მარცხის კვალობაზე, რა თქმა უნდა, უფრო დაგვიფასდა. იუგოსლავიაში მოპოვებულმა სამმა ქულამ „ბათუმს" შემდეგ ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსი გაუჩინა, ჩვენს კოეფიციენტს უეფას „რანგ ლისტში" მინიმუმ პლუს 1 ბალი შემატა, ბათუმელ გულშემატკივრებს ფეხბურთის სიყვარული გაუმძაფრა, აჭარის თავკაცს კი, ფეხბურთისთვის ასე რომ გაისარჯა, დამსახურებული სიამაყე მოჰგვარა. ყოველივე ამან, ცხადია, ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ „იმუშავა" და შედეგებსაც მალე მოვიმკით. თუმცა, პირველი „მოსავალი" უკვე აღებულია — საქართველოს ბათუმის „დინამოს" სტადიონის სახით ერთი ჩინებული საფეხბურთო სარბიელი უკვე შეემატა.

ამ გულშემატკივართათვის საინტერესო სხვა ამბებზე ვესაუბრე გუნდის მთავარ მწვრთნელს ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲡ. წარსულში ცნობილი ეს ქობულეთელი ფეხბურთელი ადრე ორჯერ ედგა ბათუმელთა გუნდს სათავეში და ორჯერვე წარმატებით:

— პირველად გუნდში 1974 წელს მოვედი იმავე სეზონში საკავშირო პირველობის მეორე ლიგაში მეორე ადგილი დავიკავეთ და პირველ ლიგაში გადასასვლელ ტურნირში ვითამაშეთ, თუმცა უშედეგოდ. გუნდში 1981 წელს დავბრუნდი და ორი წლის შემდეგ ბათუმის „დინამომ" პირველი ლიგის საგზურიც მოიპოვა. ჩემი გუნდში მესამედ მოსვლა ფეხბურთის უზომო სიყვარულმა განაპირობა. ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და მაქსიმუმზე ვოცნებობდი. ჯერჯერობით მივაღწიეთ ჩვენს პირველ მიზანს — ევროპაში გავედით.


ვალერიან ჩხარტიშვილი

# ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲐ, ᲐᲑᲐ, ᲠᲐ!

— მოდით, სწორედ ევროპული დებიუტის მატჩზე ვისაუბროთ, იმ მიზეზებზე, რომლებმაც ბათუმელთა წარმატება განაპირობა.

— ყველაზე უფრო ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა მაფიქრებდა, რაც უნდა იყოს, ეს პირველი თამაში იყო ევროპაში, ამგვარი მატჩების გამოცდილება ჩვენს ფეხბურთელებს არ ჰქონიათ. ჩემდა გასახარად, ამ მხრივ ბათუმის „დინამო" ყოველმხრივ მზად აღმოჩნდა, ფეხბურთელებმა გაუძლეს იმ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას, ამგვარ მატჩებს რომ ახლავს და გაიმარჯვეს. ისე ითამაშეს, თითქოს დიდიხანია ევროთასებზე გამოდიანო... ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ფიზიკურ მომზადებაში ჩვენები არათუ ჩამორჩნენ მასპინძლებს, არამედ აჯობეს კიდეც. გუნდის სათანადო ფიზიკურ მომზადებას მე მუდამ დიდ ყურადღებას ვაქცევ და ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ძალზე სასიხარულოა, რომ ამან შედეგი გამოიღო.

— ვიცი, ტელევიზორში ნანახით არ უნდა იმსჯელო, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს ბათუმელმა ნახევარდაცვა სხვა რგოლებზე უკეთ მოქმედებდა: ხშირი იყო ორთაბრძოლები მინდვრის შუაგულში, ბურთის ართმევა...

— ვერ დაგეთანხმებით. ყველაზე სუსტი რგოლი ამ მატჩში სწორედ ჩვენი ნახევარდაცვა იყო. დაცვისა და თავდასხმის ხაზებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს და თავიც გაართვეს დავალებას. ნახევარდაცვას კი მეტი უნდა ემუშავა, კაცის აყვანა იქნებოდა თუ ბურთის ართმევა.

— მატჩის შედეგი ლოგიკურად მიგაჩნიათ?

— მოგება მათაც შეეძლოთ და ჩვენც. იმ დღეს ბედმა ჩვენ გაგვიღიმა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენი გამარჯვება უფრო ლოგიკური იყო. ფიზიკურად ჩვენ აშკარად ვჯობდით მეტოქეებს, ფეხბურთი კი ლოგიკური სპორტია მუდამ ძლიერი იმარჯვებს.

— განმეორებით მატჩშიც იმავე ტაქტიკას აირჩევთ?

— ძირითადად იგივეს. ჩვენ 4-4-2 სისტემით ვითამაშეთ.

— ალექსანდრე კანტიძე და „კოლხეთიდან" გადმოსული დათო მახარაძე ძირითადში არ ჩანან. არადა ჩემი აზრით, ეს ორი ფეხბურთელი თამაშის საერთო სურათს არ გააფუჭებს.

— იმ მატჩისთვის ორივენი ტრავმირებულნი იყვნენ. ახლა გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. მახარაძე, ჩემი აზრით, დიდ დატვირთვებს შეუჩვეველი იყო.

— საპასუხისმგებლო მატჩამდე ხუთი დღით ადრე ყვარელში თამაშს, არ სჯობდა, ფედერაციისთვი გეთხოვათ და ბათუმში გეთამაშათ?

— თვითონ მატჩი აუცილებლად საჭირო იყო ჩვენთვის, მაგრამ ყვარელში თამაშზე რა გითხრათ... ვთხოვეთ კიდეც ფედერაციას და „დურუჯის" ხელმძღვანელებს, მატჩი ბათუმში გვეთამაშა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. არადა, ყვარელში თამაში ჩვენთვის სამი დღის დაკარგვას ნიშნავს. მარტო გზაში ხომ აქეთ-იქით 1000 კილომეტრამდე უნდა გავიაროთ, ამას დაუმატეთ მატჩის შემდგომი დღე, რომელიც მგზავრობით ისედაც გადაღლილი ფეხბურთელების დასვენებას მოუნდება.

— გარდა ამისა, „დურუჯმა" ორივე მატჩი წააგო და შინ, ბუნებრივია, ყველა ღონეს იხმარს სამი ქულის მოსაპოვებლად. ასეთ დროს ერთობ დიდია ტრავმის რისკი, ხუთ დღეში კი განმეორებითი მატჩია „ობილიცთან"...

— ტრავმების კი ნამდვილად არ მეშინია. რა ფრთხილადაც უნდა მოიქცე და ტრავმას უფრთხოდე, უფრო მეტი შანსია დაშავებისა, ვიდრე მაშინ, როცა ამაზე საერთოდ არ ფიქრობ და მინდორზე ისე გადიხარ. ტრავმა, თუ მოსახდენია, მაინც მოხდება.

— „ობილიცთან" პირველი მატჩის არბიტრზე მინდა გკითხოთ. ისე, მომეჩვენა, რომ მან ორ-სამჯერ მასპინძელთათვის კრიტიკულ სიტუაციაში მათს სასარგებლოდ დაუსტვინა. თქვენი პრეზიდენტი, ბატონი თამაზ ცინარიძე ირწმუნება, რომ მსაჯობა იდეალური იყოო...

— ბატონი თამაზი მართალია, მსაჯმა ჩინებულად გაართვა თავი მატჩს, არ ყოფილა მიკერძოების არცერთი შემთხვევა. იმ შემთხვევაში, თქვენ რომ ახსენეთ, მატჩის არბიტრი კი შეცდა, მაგრამ შეგნებულად არა. მისთვის მართლაც ძნელი გასარჩევი იყო ის სადავო ეპიზოდები, როდესაც მან მასპინძელთა სასარგებლოდ დაუსტვინა. მოკლედ, მე მსაჯობის საკმაოდ კმაყოფილი ვარ.

— ახლა იმ სასწაულზე ვისაუბროთ, რომელსაც ბათუმის „დინამოს" სტადიონი ჰქვია.

— სახელი მართლაც სწორედ შეგირჩევიათ. ის, რასაც ბატონი ასლან აბაშიძე აკეთებს, მხოლოდ სასწაულს თუ შეიძლება შეადარო: სტადიონზე სამცვლიანი მუშაობაა, ერთი წუთითაც რომ არ წყდება, არადა, ეს რამდენიმე დღეა, რაც გამოიდარა, მანამდე კოკისპირულად წვიმდა. ასლან აბაშიძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძლიერი პიროვნებაა და აჭარას და მთელ საქართველოს უდიდეს საქმეს უკეთებს. თქვენთვის ასე, სიტყვებით, ძნელი გასაგებია, რა ხდება ბათუმის სტადიონზე. გასახდელები 20 ივნისს ჩაბარდებოდა, ტაბლო უკვე ჩამოტანილია და მონტაჟდება. თუ გახსოვთ, სტადიონის ტერიტორიაზე მდებარე სავარჯიშო მინდორი, ხრეშით რომ იყო დაფარული და მის მოწყობას წლების განმავლობაში საშველი არ ედგა, დღე-დღეზე დამთავრდება, მასზე ხელოვნურ საფარს დააგებენ და ავდარშიც გვექნება ვარჯიშის საშუალება.

— ახლა ერთ მტკივნეულ საკითხზე მინდა გკითხოთ: ბათუმის ბავშვთა ფეხბურთის ცნობილი სკოლა „დინამო", რომელსაც ლერი ვერულიძე ხელმძღვანელობდა, დაიხურა. თქვენ, როგორც მწვრთნელს კი ალბათ ყველაზე უკეთ გესმით, რა შეიძლება მოჰყვეს ბავშვთა ფეხბურთში დაშვებული მსგავს შეცდომებს.

— მართალი ბრძანდებით, ეს, ფაქტიურად, რამდენიმე წელიწადში ფეხბურთის სიკვდილს ნიშნავს. ბანკეტზე, რომელიც იუგოსლავიიდან ჩვენი დაბრუნების შემდეგ გაიმართა, ბატონმა ასლანმა აღნიშნა ბავშვთა საფეხბურთო სკოლის არსებობის აუცილებლობა და შეგვპირდა, რომ უახლოეს ხანში ბათუმში კვლავ ამოქმედდება ბავშვთა ფეხბურთის კერა. ეს იმდენად სერიოზული საკითხია, რომ ამის თაობაზე არგუმენტების მოხმობა უაზრობადაც მიმაჩნია. ახლა კი იმედიანად ვარ, რადგან ვიცი, თუ როგორ ასრულებს შეპირებულ სიტყვას ბატონი ასლანი.

— არც მეორე გუნდი — „ფარმ-კლუბი" გაწყენდათ.

— კლუბში მოსვლის პირველი დღიდანვე ფარმ-კლუბი ჩემი უპირველესი მოთხოვნა იყო. ერთი ხანობა გვსურდა, რომ ქობულეთის „შუქურა" ყოფილიყო ჩვენი „ფარმ-კლუბი", მაგრამ, მოგეხსენებათ, ამას დიდი ფინანსები სჭირდება, ახლა კი უკვე ნელ-ნელა გამოჩნდა ამის საშუალება და ალბათ ამ პრობლემასაც გადავწყვეტთ. ბათუმის „დინამოს" მუდამ ყველასაგან გამორჩეული ხელწერა და კოლორიტი ჰქონდა. „ფარმ-კლუბი" იმიტომაცა აუცილებელი, რომ გუნდს ჰყავდეს დუბლი, სადაც ის ფეხბურთელები ითამაშებენ, აქაურ ტრადიციებზე აღზრდილები რომ არიან და გუნდის სათამაშო სტილს მოერგებიან. ახლა ჯერ ისე მწვავედ არ იგრძნობა მეორე გუნდის ყოლის აუცილებლობა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა მალე მთელი სიგრძე-სიგანით იჩენს თავს.

— წლევანდელი ევროდებიუტის შემდეგ ალბათ მომავალ ჩემპიონატებშიც, ცხადია უკვე მიმდინარეშიც, მუდამ ევროთასებზე გასასვლელად იბრძოლებთ.

— რა თქმა უნდა. ამ ჩემპიონატშიც სამეულისთვის ვიბრძოლებთ და საქართველოს თასზე წარმატებული გამოსვლისთვისაც. მითუმეტეს, რომ ბათუმის „დინამო" თასზე, ტრადიციულად, საკმაოდ კარგად გამოდის — ორჯერ ფინალში ითამაშა, ამდენჯერვე ნახევარფინალში იყო. ასე რომ, აღარ გვაქვს უფლება ევროთასებს გამოვაკლდეთ.

— წარმატებულ სტარტს ალბათ ბათუმში ფინიშიც წარმატებული ექნება...

— რა თქმა უნდა, ბელგრადში მოგებამ ჩვენი ძალების რწმენა შეგვმატა და ბათუმში უფრო მონდომებით ვითამაშებთ. თანაც ახლა აჭარაში ანეკდოტური სიტუაციაა: ქალიან-კაციან-დიდიან-პატარიანად ყველას ფეხბურთი აკერია პირზე. ყოფითი პრობლემები აღარავის ახსოვს, მთიან სოფლებშიც კი ფეხბურთზე ბჭობენ. მოდი და, ამის მერე ნუ გაიმარჯვებ...

— კიდევ რამე ხომ არ გაქვთ სათქმელი?

— არ ვიცი, ვინ როგორ მიიღებს, მაგრამ მინდა დიდი მადლობა გადავიხადო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და პირადად ბატონ ნოდარ ახალკაცს იმ გაწეული სამუშაოსთვის, რომლის ნაყოფი ჩვენ უკვე ვიგემეთ. სამი გუნდის დაშვება ევროთასებზე სწორედ ამათ დამსახურებად მიმაჩნია და ამიტომაც გამოირჩევა ყველასაგან წლევანდელი საფეხბურთო სეზონი. ეს კი ქართული ფეხბურთის აღორძინებას დაუდებს სათავეს...

მთავარი მწვრთნელს შემდეგ დათო მახარაძეს, როსტომ თორღაშვილს, მალხაზ მახარაძეს და სხვა ფეხბურთელებს გამოველაპარაკე. ამათ სულ გადამრიეს: რამდენი ქვეყნის სტადიონები გვინახავს, მათ შორის აგერ ახლახან სახელგანთქმული „ცრვენა ზვეზდასიცო", მაგრამ ბათუმის ახლანდელ სტადიონთან ვერც სიკოხტავით და ვერც კომფორტულობით ვერცერთი ვერ მოვაო. წინა მატჩის გმირმა ასლან ბალაძემ კი განმეორებით მატჩშიც საკუთარი კარის ხელშეუხებლობა აღმითქვა...

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ**

თბილისის „დინამო" დიღმის ბაზაზე 19 აგვისტოდან შეუდგა პლოვდივის „ბოტევთან" უეფას თასის საპასუხო მატჩის[illegible] მზადებას და ჩვენც, ტრადიციულად, გუნდის მთავარ მწვრთნელს ᲓᲐᲕᲘᲗ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲡ მივაკითხეთ.

## ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲡ ᲒᲣᲚᲗᲛᲘᲡᲜᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ

— 18 აგვისტოს „დინამომ" ამხანაგური შეხვედრა გამართა რუსთავის „მეტალურგთან". ეს ალბათ გენერალური რეპეტიცია გახლდათ 22-ის მატჩისთვის...

— რატომ გენერალური რეპეტიცია? უბრალოდ, რიგითი ამხანაგური მატჩი იყო. გუნდმა ჩვეულებრივად ითამაშა და დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 3:2. ამ თამაშში გუნდის სათამაშო დისციპლინა შემოწმდა. სხვა თამაშებისგან განსაკუთრებულად არაფრით გამოირჩეოდა.

— მოთამაშეებს ტრავმები ხომ არ აწუხებთ?

— შორს ჩვენგან ტრავმები. ჯერ-ჯერობით ყველაფერი რიგზეა. შეკრებაზე მყოფი ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. მართალია, წინ კიდევ ორი დღეა, მაგრამ შევეცდებით 22-მდე უდანაკარგოდ მივიდეთ.

— თბილისის მატჩისთვის ცვლილებები თუ იქნება?

— ძირითადად ის ფეხბურთელები ემზადებიან, რომლებიც ბულგარეთში იყვნენ. მხოლოდ ერთი ახალი მოთამაშეა — ლობჟანიძე, რომელსაც, მოგეხსენებათ, ორი გაფრთხილების გამო პირველი მატჩის გამოტოვებამ მოუწია.

— ცხადია, შემადგენლობაც უკვე გამოიკვეთებოდა...

— თამაშისათვის 17 ფეხბურთელი ემზადება: ზოიძე, ჭანტურია, ლობჟანიძე, მაჭავარიანი, კობიაშვილი, დიდავა, კალაძე, გოგიჩაიშვილი, ცაავა, ცქიტიშვილი, კიკნაძე, დემეტრაძე, იაშვილი, ხომერიკი, კაჭარავა, ფირცხალავა, გახოკიძე.

— ჩვენი ჩემპიონატის „დინამოსთვის" პირველი მატჩი „კოლხეთთან" ხომერიკმა გამოტოვა, რა იყო მიზეზი?

— ხომერიკმა ვარჯიშზე კოჭი უმნიშვნელოდ დაიზიანა და ფეხი ცოტა შეუსივდა. გადავწყვიტეთ დაგვესვენებინა. იგი უკვე მწყობრშია და მთელი დატვირთვით ვარჯიშობს.

— ბოლო ინფორმაცია თქვენს მეტოქეზე...

— „ბოტევი" თბილისის მატჩისთვის სერიოზულად ემზადება. ჩემპიონატის ბოლო თამაში დიდი ანგარიშით — 0:3 დათმო სოფიაში „ცსკა"-სთან. მოკლედ, მოდიან და არც ჩვენ გვეშინია, ვეცდებით, საკადრისად დავხვდეთ.

— როგორი იქნება თქვენი პროგნოზი?

— არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომელიმე თამაშის წინ გულთმისნობა დამეწყოს და ჩვეულებას ვერც ახლა ვუღალატებ.

ბატონ დავითს რომ გამოვემშვიდობე, უშუალოდ ფეხბურთელებთან გასაუბრებაც გადავწყვიტე. მენიშნა: ახალგაზრდები ბრძოლის ჟინს შეუპყრია და ანგარიშსაც ასახელებენ, გამოცდილნი კი პროგნოზისგან თავს იკავებენ, მაგრამ უიმედოდ არც ისინი არიან.

**გიორგი კიკნაძე:** 2:0-ს მოვიგებთ. უკვე საათებს ვითვლი, ვერ ვითმენ, ერთი სული მაქვს, როდის გავალ მინდორზე. რატომღაც სულ არ მეშინია.

**გიორგი დემეტრაძე:** აუცილებლად 3:0 მოვიგებთ.

**ალექსანდრე იაშვილი:** ანგარიშს ვერ გეტყვით, მაგრამ გათამაშების შემდეგ წრეში გავალთ.

**ირაკლი ზოიძე, კახი კაჭარავა:** ცოტა არ იყოს, ძნელი თამაში გველის, ანგარიშს ვერ გეტყვით, მაგრამ, გჯეროდეთ: შემდეგ წრეში „დინამო" ითამაშებს..

...ამ ლაპარაკში მანჩესტერიდან გიორგი ქინქლაძემ დარეკა. 19 აგვისტოს მისი დებიუტის დღე იყო ინგლისის ჩემპიონატში. გიოს „მანჩესტერ სიტიმ" „ტოტენჰემს" უმასპინძლა და მატჩი ფრედ 1:1 დაამთავრა. გიორგი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ეღიარებიათ და 10-ბალიანი შეფასებით მისთვის 8 ბალი მიუკუთვნებიათ. ამ ცნობამ ძალიან გაახარა დინამოელები. ბაზაზე გოჩა ჯამარაულიც გამოჩნდა, რომელზეც, ბოლო ხანს, ვლადიკავკაზის „სპარტაკში" გადადისო, ამბობდნენ...

— მე მგონი, დეკემბრიდან წავალ, თუმცა ეს საქმე ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი. ტრავმა უკვე მოვირჩინე და უახლოეს დღეებში ვარჯიშსაც შევუდგები — მითხრა გოჩამ.

ბაზიდან იმედიანად წამოვედი. უფრო იმან გამახარა, რომ გუნდში ერთიანი და საბრძოლო სულისკვეთებაა, ეს კი საპასუხო მატჩის წინ ძალიან მნიშვნელოვანია.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

## ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲝᲠᲛᲝᲔᲑᲘᲐ!

II ტურიდან. 19 აგვისტო

**ᲓᲣᲠᲣᲯᲘ 0:0 ᲑᲐᲗᲣᲛᲘ**

დურუჯი: პაქსაშვილი, მოსიაშვილი (ჯიქურიშვილი 72), ოსაძე, ყანჩაშვილი, [illegible], ქარენაშვილი, ოსეფაშვილი, წიწრიაშვილი, ყიზილაშვილი, დარჩიაშვილი

ბათუმი: ბალაძე, მალანია, ჩიქოვანი, სიჭინავა (კანტიძე 63), შანიძე, თორღაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი (მინდაძე 46), დ. მახარაძე (უჯმაჯურიძე 46) ღლონტი.

გაფრთხილება: მოსიაშვილი 43

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

ამ მატჩზე ყვარელში ჩასულმა გულსაკლავი სურათი ვიხილე: სათამაშო მინდორი მინდორი კი იყო, მაგრამ სათამაშოზე რა მოგახსენოთ, ალაგ-ალაგ იმხელა ორმოები გაჩენილიყო... ტრიბუნა, ამ ხის გროვას ტრიბუნას თუ ვუწოდებთ, ისეა დამპალი, წუთი-წუთზეა მოსალოდნელი, ვინმე გულუბრყვილო და მიმნდობმა გულშემატკივარმა კისერი მოიტეხოს. მოკლედ, ყვარლის სტადიონი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფისთვის კი არა, სოფლის პირველობისთვისაც ვერ გამოდგება. არადა, ყვარელში ერთ ხანს სტადიონის მშენებლობა დაიწყეს, სამუშაოს ნახევარზე მეტი გაასრულეს კიდეც, მაგრამ რად გინდა — უყურადღებობის გამო ახლა იქაურობა ჩანაგდება. არც აქაური საფეხბურთო კლუბის მიმხედავი ჩანს ვინმე, მთავარ მწვრთნელს ნუკრი სამიტაშვილს და კლუბის ხელმძღვანელობას გუნდი სტუმრად ახლობლებისაგან ნასესხები ფულით დაჰყავთ. ეს ხალხი კი აკეთებს ყველაფერს სამისოდ, რათა ყვარელში ფეხბურთი არ ჩაკვდეს, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, სხვებს, რაიონის ხელმძღვანელობის ჩათვლით, ყვარლის ფეხბურთი ჩირადაც არ ულირთ. არადა, აქაურებს ფეხბურთი უყვართ, სტადიონზეც საკმაოდ ბლომად და „დურუჯს" ფეხზე მდგარნი გულიანადაც ქომაგობენ — აბა, დამპალ ტრიბუნას თავს ვინ ანდობს. აღარაფერს ვამბობ „დურუჯის" მოთამაშეებზე, რომლებიც ფაქტიურად, ანაზღაურების გარეშე თამაშობენ...

სტუმრები მთელ თამაშში ფლობდნენ სრულ სათამაშო უპირატესობას. დაცვაში ჩინებულად მოქმედებდა ჩიქოვან-მახარაძის დუეტი, ნახევარდაცვაში თორღაშვილი ყოჩობდა, რომელსაც მარცხნივ მალანია ედგა მხარში, მარჯვნივ — ხან შანიძე და ხან სიჭინავა. მასპინძლებიც დიდი მონდომებით თამაშობდნენ, ოღონდ [illegible]ში, თავდასხმაში კი სახეირო ვერა[illegible] გააზრეს. პირველ ტაიმში თორღაშვილის შორეული დარტყმა ძელმა მოიგერია, ხოლო მეკარესთან პირისპირ გასულ მაჭუტაძეს საბოლოო დარტყმა გაუცუდდა. მეორე ნახევარში უჯმაჯურიძეს ჰქონდა სტუმართთა დაწინაურების შანსი, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ იმარჯვა — საერთოდაც, პაქსაშვილის თავდაჯერებული თამაში რომ არა, „დურუჯი" ფრეს ალბათ ვერ მიაღწევდა. შთაბეჭდილება და არცთუ უსაფუძვლო ისეთი იყო, რომ თუ სტუმრები ტემპს მოუმატებდნენ, გოლსაც უეჭველად გაიტანდნენ, მაგრამ როგორ გინდა ეს მოახერხო, როცა ბურთის გაგორება შეუძლებელია, თავდამსხმელებს კი იმაზე უწევთ ფიქრი, ემანდ, ფეხი ორმოში არ ჩაგვივარდეს და არ დავიმტვრეთო. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ბათუმის „დინამოს" 24 აგვისტოს თასების თასის გათამაშების საპასუხო თამაში აქვს გასამართი და რომელიმე ფეხბურთელის დაშავება და შემადგენლობიდან თუნდაც ერთის ამოვარდნა გუნდის ხელმძღვანელობას საკმაო თავსატეხს გაუჩენდა. ბათუმელთა გუნდის თავკაცები ალბათ კმაყოფილნიც დარჩნენ, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა ეგაა, საპასუხისმგებლო შეხვედრის წინ ესოდენ საჭირო სპარინგ-მატჩი, ზემოთ ნახსენებ მიზეზთა გამო, არ გამოუვიდათ. ამიტომაც, გავბედავ და, ვისაც ჯერ არს და ვისაც ეს ყოველივე უნდა გაეთვალისწინებინა, ჩემს კრძალ მოსაზრებას გავუზიარებ — ხომ არ აჯობებდა, ეს თამაში კვლავაც დროებით გადადებულიყო, რადგან ბათუმელებს ამ მატჩმა გაცვეთილი დღეებისა და გადაღლის მეტი სასიკეთო ვერაფერი შესძინა.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

ყვარელი — თბი[illegible]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| მეტალურგი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| ბათუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-0 | 7 |
| დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| მარგვეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| ზუგდიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| შევარდენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| გურია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-9 | 3 |
| სამტრედია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| დურუჯი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-8 | 1 |
| კახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |
| სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |
| ივერია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |
| ეგრისი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |



მარადონა

## ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინელმა** სუპერვარსკვლავმა დიეგო მარადონამ 1 ოქტომბერს ახალი კლუბის „ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში სეულში კორეის ნაკრების წინააღმდეგ უნდა ითამაშოს. 15-თვიანი დისკვალიფიკაცია, რომელიც მან გასულ ზაფხულს, ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მიიღო, 29 სექტემბერს გადის. ასე რომ, დიეგო კვლავ საქმეში ერთვება.

**უელსის** ნაკრების წინა მწვრთნელის, საქართველოსთან შინ და სტუმრად დამარცხებული მაიკ სმიტის შემცვლელს დიდხანს ეძებდნენ. რა ვარიანტი არ მოსინჯეს: ჯერ იყო და, იან რაშის და რონ ატკინსონის წყვილს უპირებდნენ საქმის ჩაბა[illegible], ეს რომ არ გამოვიდა, იმავე რაშს [illegible] მოთამაშე მწვრთნელობა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება მაინც ვერ გაბედეს. ბოლოს ისევ პროფესიონალ მწვრთნელზე შეჩერდნენ. ახალი მენეჯერია 49 წლის ინგლისელი ბობი გოლდი. გოლდი, რომელიც ადრე „უიმბლდონში", „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში" და „ქოვენთრი სიტიში" მუშაობდა, ახალ თანამდებობაზე იმ პირობით დანიშნეს, რომ მან უელსის გუნდი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა გაიყვანოს. ბობი გოლდი ბოლო 18 თვეში ამ ქვეყნის ნაკრების მეოთხე მწვრთნელია.

**ეკვადორში** მიმდინარე ჭაბუკთა (17 წლამდე) მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმართა ნახევარფინალები. აქვე მოგიბოდიშებთ, რომ წინა სამშაბათის ნომერში არასწორად გაცნობეთ მეოთხედფინალური წყვილის — ომანი — ნიგერიას გამარჯვებული. ანგარიში კი 2:1 იყო, ოღონდ არა ნიგერიის, არამედ ომანელთა სასარგებლოდ. ნახევარფინალში ომანი განას შეხვდა და 1:3 წააგო. მეორე შეხვედრაში ბრაზილიელებმა არგენტინელებს 3:0 სძლიეს.

**არგენტინელი** „მოხუცი", 41 წლის მარიო კემპესი, რომლის კარიერის პიკი ჩვიდმეტი წლის წინ იყო, კვლავ მოედანზეა. იგი ფეხბურთს ჩილეში დაუბრუნდა. მისი ახალი გუნდია მეორე ლიგის „ფერნანდეს ვიალი".

**ბელგიის** „ანდერლეხტს" წლეულს მე[illegible]ტად უიღბლო სტარტი ჰქონდა. გუნდ[illegible]ვეყნის ჩემპიონატის საწყისი ორი თამაში[illegible] წააგო და ჩემპიონთა თასის პირველი შეხვედრაც უნგრეთის „ფერენცვაროშთან". სწორედ ეს იყო მიზეზი კლუბის ხელმძღვანელთა მიერ მწვრთნელის ჰერბერტ ნეუმანის გაშვებისა. ნეუმანი „ანდერლეხტამდე" შვეიცარიაში „კიზსოსა" და „ციურიხში" და ჰოლანდიაში — „ვიტესში" მოღვაწეობდა.

**გერმანიის** ნაკრების კარს ერთი ხანობა აიკე იმელი იცავდა. დღეს იმელი 34 წლისაა და იგი „მანჩესტერ სიტიმ" შეიძინა. ასე რომ, აიკე ჩვენი გიორგი ქინქლაძის თანაგუნდელი გახდა.

**პორტუგალიის** ჩემპიონატში წლეულს 452 (!) უცხოელი ითამაშებს. ამ უცხოელთა უმრავლესობა ბრაზილიელია, თუმცა, მოგეხსენებათ, რომ ბრაზილიელები პორტუგალიის ლიგაში უცხოელებად არ ითვლებიან. პირველი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: უნიაუ ლეირა — მარიტიმუ 0:4, ფარენსე — ტირენსე 2:1, კამპომაიორენზე — ვიტორია გიმარაეში 0:1, სპორტინგი ბრაგა — ეშტრელა ამადორა 2:1, ბოავიშტა — ბელენენსეში 1:0, პორტუ — სპორტინგი ლისაბონი 2:1, ლეცა — ჟილ ვისენტე 0:2, ფელგეირაში — შავეში 2:2. ბენფიკა — სალგეირაში 6 სექტემბერს გაიმართება.

**ინგლისში** დაიწყო პრემიერლიგის ჩემპიონატი. პირველ ტურში გიორგი ქინქლაძის „მანჩესტერ სიტიმ" შინ ფრედ ითამაშა „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" — 1:1. ჩემპიონმა „ბლექბერნმა" 1:0 სძლია „ქვინზ პარკ რეინჯერსს". სხვა თამაშები: ლივერპული — შეფილდ უენსდეი 1:0, ნიუკასლი — ქოვენთრი 3:0, ვესტ ჰემი — ლიდსი 1:2, ასტონ ვილა — მანჩესტერ იუნაიტედი 3:1, ჩელსი — ევერტონი 0:0, საუთჰემპტონი — ნოტინგემ ფორესტი 3:4, უიმბლდონი — ბოლტონი 3:2, არსენალი — მიდლსბრო 1:1.

**ესპანეთში** ფეხბურთის ფედერაციისთვის ბიუჯეტიდან ხუთი პროცენტის გადაუხდელობის გამო პირველიდან მესამე დივიზიონში გააძევეს „სევილია" და „სელტა", ხოლო 20 გუნდიანი ლიგის შესანარჩუნებლად პირველ ლიგაში აღადგინეს „ალბასეტე" და „ვალიადოლიდი". ამას დიდი ამბავი მოჰყვა და საბოლოოდ საქმე ისე მოგვარდა, რომ ქვეყნის ფეხბურთის შეფებს ოთხივე გუნდის ზედა ჯგუფში დამტკიცება მოუხდათ, ასე რომ, ახლა ესპანეთში ტიტულისთვის 22 გუნდი იბრძოლებს.

**შვედეთის** ნაკრებმა აშშ-ს ამხანაგურ თამაშში 1:0 მოუგო. გოლი 85-ე წუთზე ბროლინმა გაიტანა. უნგრეთმა ისრაელს უმასპინძლა და დამარცხდა 0:2. ვარჯიშობენ კლუბებიც; „დეპორტივო ლა კლრუნიამ" „ბაიერნს" 7:0 სძლია — სამი გოლი ბებეტომ შეაგდო, ორი გონსალესმა, თითოც ბეგირისტაინმა და ალდანომ დაამატეს.

**ინგლისის** „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშით სახელმოხვეჭილი რუსი ნახევარმცველი ანდრეი კანჩელსკისი დიდ გასაჭირშია. მას „ევერტონში" უნდოდა გადასვლა, მაგრამ „იუნაიტედმა" ნება არ დართო. საქმე ის არის, რომ ტრანსფერის შემთხვევაში მანჩესტერის გუნდს დონეცკის „შახტიორისთვის" 1,8 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს, ასეთი თანხის გაღება კი მას არ სურს. ახლა ავხსნათ, რა შუაშია „შახტიორი". „შახტიორი" ის გუნდია, რომლისგანაც იყიდა 1991 წელს „მანჩესტერ იუნაიტედმა" კანჩელსკისი. მაშინ უკრაინულმა და ინგლისურმა კლუბებმა ხელშეკრულებაში ჩაწერეს, რომ თუ „მანჩესტერი" ფეხბურთელს გაყიდდა, ტრანსფერის თანხის 30 პროცენტი „შახტიორს" უნდა რგებოდა. მას მერე დონეცკელთა კლუბის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ლამის არავის ახსოვს, ვინ მოაწერა იმ, ოთხი წლის წინანდელ კონტრაქტს ხელი, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, ამგვარად, კანჩელსკისი ახლა ინდივიდუალურად ემზადება და სხვა წინადადებებს იხილავს, „იუნაიტედში" დაბრუნებაზე კი კატეგორიულ უარს აცხადებს. ამ ფეხბურთელის ყიდვის სურვილი უკვე გამოთქვეს „არსენალმა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურმა", დანარჩენს კი ადვოკატები გაარკვევენ.

**ნორვეგიის** ნაკრების მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა, რომლის გუნდმაც წინა ოთხშაბათს ჩეხებს უმასპინძლა და 1:1 ითამაშა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი კონტრაქტი დადო. ოლსენი ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან 1996 წელს უნდა გადამდგარიყო, მაგრამ ახლა კიდევ ორ წელიწადს მოუხდება აქ მუშაობა. არადა, იგი ბოლო დროს „ტორინოში" გადასვლას ლამობდა და იტალიელებთან მოლაპარაკებაც ჰქონდა გამართული.

**სიერა ლეონეს** ნაკრებს სათავეში ჩაუდგა 31 წლის შვედი როგერ პალმგრენი, რომელიც ბოლოს იტალიაში, „სამპდორიის" მწვრთნელის, მისი თანამემამულის სვენ-ერან ერიკსონის თანაშემწედ მუშაობდა. პალმგრენმა სიერა-ლეონეს ნაკრებს ორწლიანი ხელშეკრულება დაუდო.

**ბრაზილიურმა** კლუბმა „ფლამენგომ" ამხანაგური მატჩი ითამაშა ესპანურ „დეპორტივო ლა კორუნიასთან". შეხვედრა დამთავრდა ევროპელთა გამარჯვებით 3:0. საგულისხმოა, რომ ამ თამაშში ერთმანეთის პირისპირ ბრაზილიელი ვარსკვლავები ბებეტო და რომარიო წარდგნენ. ბებეტომ მე-20 და 48-ე წუთებზე ორი გოლი შეაგდო, რომარიომ კი ხეირიანად ბურთიც ვერ მიიღო.

**პორტუგალიელი** მსაჯები გაფიცვას აპირებდნენ. მიზეზი ის გახლდათ, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მათ 685 ათასი დოლარი დააკლო. სიტუაცია მთავრობამ განმუხტა — მან ფედერაციას დამატებითი თანხა გამოუყო.

**აშშ**-ის ნაკრების მეკარე ბრედ ფრიდელი ბრიტანელმა ჩინოვნიკებმა ქვეყანაში სამუშაოდ არ შეუშვეს. საქმე ის გახლავთ, რომ ფრიდელს ინგლისის მეორე დივიზიონის „სანდერლენდი" იწვევს სათამაშოდ და ამ ფეხბურთელში ამერიკის ფეხბურთის ფედერაციას 960 ათას დოლარს უხდის. ინგლისური კლუბი ჩინოვნიკთა ვერდიქტის გაპროტესტებას აპირებს და გადაწყვეტილი აქვს დაამტკიცოს, რომ 23 წლის ამერიკელი გოლკიპერი, რომელსაც ქვეყნის ნაკრებში 35-ჯერ აქვს ნათამაშები, ყველა პარამეტრით იმსახურებს ბრიტანეთში მუშაობის დაწყებას.

**იტალიაში** ბერლუსკონის თასზე ერთმანეთს შეხვდნენ „მილანი" და „იუვენტუსი". თამაში 0:0 დამთავრდა, პენალტებით ტურინელებმა მოიგეს.



რომარიო და ბებეტო

## რაც არ მერგება, არ მინდა



მარკო ვან ბასტენი

მას ახალ კონტრაქტს სთავაზობდნენ, თუმც კარგად იცოდნენ, რომ ფეხბურთს ვეღარასოდეს ითამაშებდა. წყნარად შეეძლო ფეხი ფეხზე გადაედო და დიდი ხელფასი აეღო, მაგრამ ეს უპატიოსნო საქციელად მიიჩნია და 17 აგვისტოს „მილანის" ოფისში პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ფეხბურთს შეეშვა. გულშემატკივრისთვის მარკო ვან ბასტენმა კარიერა ორი წლის წინ დაასრულა, რადგან მას მერე მოედანზე არ გასულა, მაგრამ თავად სხვაგვარად ფიქრობდა. სხვაგვარად ფიქრობდა მადლიერი სილვიო ბერლუსკონიც, რომელსაც ამ ხნის მანძილზე მისთვის ხელფასის გადახდა არ შეუწყვეტია და იმედი ჰქონდა, რომ ჰოლანდიელი „შვილობილი" კოჭის ტრავმას მოიშუშებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ფეხბურთელმა ცნობილ ბელგიელ პროფესორთან მარკ მარტენსთან სამი ოპერაცია გაიკეთა, გამოსცადა ყველაფერი, მკურნალობის ტრადიციული თუ არატრადიციული მეთოდები და დღეს... კიბეზე ასვლისასაც კი მწვავე ტკივილი სტანჯავს. აქ სპორტზე აღარაა ლაპარაკი. რამდენიმე დღის წინ ექიმებმა დაადასტურეს, რომ მისი ფეხი არა და არ რჩება.

დღეს ხშირად გაიგებთ ოცდაათ წელს გვარიანად გადაცილებული ფეხბურთელების ამბავს. ისინი კვლავ მწყობრში არიან, ვან ბასტენი კი 28 წლისა გავიდა ბოლოს მინდორზე, ორი წელიწადი კლინიკებში გაატარა და 30 წლისა ოფიციალურად გამოეთხოვა სპორტს.

— ცხადია, რამდენიმე დღეში ვერ გადავწყვიტე, რა გზას დავადგე. მომიწევს უფეხბურთოდ ცხოვრების სწავლა. რამდენი ხანი დამჭირდება? შესაძლოა, ორი-სამი თვე, შესაძლოა, წელიწადი. არ ვიცი, მინდა თუ არა პროფესიონალი მწვრთნელი გავხდე. იტალიიდან წასვლას ჯერ არ ვაპირებ — თქვა ვან ბასტენმა პრეს-კონფერენციაზე.

მილანელთა მადლიერებას საზღვარი არა აქვს. იმავე პრეს-კონფერენციაზე კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა: — თუ მარკო ვან ბასტენი ჩვენთან დარჩენას ისურვებს, მზად ვართ შევთავაზოთ თანამდებობა კლუბში ან კომპანია „ფინინვესტში". როგორც ისურვებს, ისე იქნება.

— ახლა ჩემი ცხრა ნომერი მაისური ჟორჟ ვეას ეცმება. ის ამას იმსახურებს. ვეა დიდებული ცენტრფორვარდია უზადო ტექნიკით — განაცხადა მარკომ, რომელსაც მისივე თქმით, ახლა ფეხბურთში მხოლოდ მოგონებებიღა დარჩა — ყოფილა ცუდადაც მითამაშია, მაგრამ იმედი მაქვს, ხალხს ჩემი საუკეთესო თამაშები ეხსომება.

### გერმანია

II ტური. ჰამბურგი — ვერდერი 3:3, შალკე 04 — ჰანზა 1:3, ფრაიბურგი — ზანკტ პაული 0:2, ლევერკუზენი — დორტმუნდი 1:1, მიუნხენი — შტუტგარტი 1:1, ურდინგენი — აინტრახტი 1:1, კარლსრუე — ბაიერნი 2:6, კაიზერსლაუტერნი — მიონხენგლადბახი 1:3, დიუსელდორფი — კიოლნი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:4 | 6 |
| ზანკტ პაული | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| გლადბახი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ჰანზა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| შალკე 04 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ვერდერი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| აინტრახტი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| დორტმუნდი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| დიუსელდორფი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| შტუტგარტი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ურდინგენი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჰამბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 5:6 | 1 |
| კიოლნი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მიუნხენი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| კაიზერსლაუტ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| კარლსრუე | 2 | 0 | 1 | 1 | 4:8 | 1 |
| ფრაიბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

### ავსტრია

IV ტური. ფორვარტსი — ადმირა ვაკერი 0:1, რაპიდი — ტიროლი 3:1, ლინცერი — გრაცერი 0:0, შტურმი — აუსტრია 2:0, კაზინო — რიედი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:5 | 9 |
| რაპიდი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| კაზინო | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| ტიროლი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 6 |
| ლინცერი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| რიედი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| გრაცერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| აუსტრია | 4 | 1 | 0 | 3 | 4:4 | 3 |
| ადმირა ვაკერი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| ფორვარტსი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | 0 |

### თურქეთი

II ტური ანკარაგიუჯიუ — ისტანბულსპორი 3:1, გალათასარაი — ალთაი 3:1, ესკიშეპირსპორი — ფენერბაჰჩე 1:2, ბურსასპორი — სამსუნსპორი 2:4, დენიზლისპორი — კაიზერსპორი 0:0, ქოჩაელისპორი — ანტალიასპორი 2:2, გაზიანთეფსპორი — ტრაბზონსფორი 0:0, კარშიაკა — ვანსპორი 2:1, ბეშიქთაში — გენჩლერბირლიგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| სამსუნსპორი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| გალათასარაი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ანტალიასპორი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 4 |
| ტრაბზონსფორი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| დენიზლისპორი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ესკიშეპირსპორი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ანკარაგიუჯიუ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| კარშიაკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| ბეშიქთაში | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| გენჩლერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ქოჩაელისპორი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| კაიზერსპორი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გაზიანთეფსპორი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ვანსპორი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ალთაი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ისტანბულსპორი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ბურსასპორი | 2 | 0 | 0 | 2 | 4:8 | 0 |

### საფრანგეთი

V ტური. ნანტი — ნიცა 1:0, სენტ ეტიენი — ბასტია 3:0, გინგამი — ბორდო 1:0, გენიონი — პსჟ 1:3, მონაკო — მარტიგი 0:1, კანი — ლილი 2:1, მონპელიე — ოსერი 3:1, სტრასბური — რენი 3:1, ლე ავრი — მეცი 0:0, ლანსი — ლიონი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | 11 |
| გინგამი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 |
| მეცი | 5 | 3 | 2 | 0 | 4:2 | 11 |
| ბასტია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| ნანტი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| სტრასბური | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| ლანსი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| მონპელიე | 5 | 2 | 1 | 2 | 10:8 | 7 |
| მონაკო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| მარტიგი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:7 | 7 |
| კანი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:8 | 6 |
| ბორდო | 5 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| რენი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:11 | 6 |
| ნიცა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| სენტ ეტიენი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| ოსერი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:7 | 4 |
| ლიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| ლე ავრი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | 4 |
| გენიონი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | 2 |
| ლილი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | 1 |

### პოლონეთი

III ტური. პოგონი — ლეგია 1:2, გურნიკი — ვიძევი 1:1, ლ.კ.ს. — გ.კ.ს. (კატოვიცე) 1:1, სოკოლი — ლეხი 3:2, პუტნიკი — სტალი 3:0, რაკოვი — სიარკა 1:1, ოლიმპია — გ.კ.ს. (ბალხატოვი) 2:0, ამიკა — სტომილი 1:2, შლიონსკი — ზაგლებიე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ლეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| ვიძევი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:2 | 7 |
| პუტნიკი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| პოგონი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სტომილი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| გურნიკი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ზაგლებიე | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| რაკოვი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ლეხი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ამიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| სტალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:10 | 3 |
| სოკოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:10 | 3 |
| სიარკა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ლ.კ.ს. | 3 | 0 | 1 | 2 | 2:2 | 1 |
| გ.კ.ს. | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| შლიონსკი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ბალხატოვი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

### შვეიცარია

გამოტოვებული შეხვედრა ლუცერნი — ქსამაქსი 3:2. VI ტური. სენტ გალენი — იანგ ბოიზი 0:0, არაუ — სერვეტი 2:4, ლოზანა — ციურიხი 3:0, ბაზელი — ლუგანო 0:2, გრასჰოპერსი — ლუცერნი 4:0, ქსამაქსი — სიონი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:7 | 12 |
| სენტ გალენი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:4 | 11 |
| სერვეტი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:6 | 9 |
| ლოზანა | 6 | 2 | 3 | 1 | 9:5 | 9 |
| ქსამაქსი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:7 | 9 |
| იანგ ბოიზი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:6 | 9 |
| ლუცერნი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:11 | 9 |
| გრასჰოპერსი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| ბაზელი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:5 | 7 |
| არაუ | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| ლუგანო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| ციურიხი | 6 | 0 | 1 | 4 | 1:14 | 1 |

# დანიური დინამიტი

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში განთესილი ფავორიტები თუ ჯგუფში დანიელებთან ერთად მოხვდებოდნენ, შინაც და კოპენჰაგენშიც უეჭველ ორ-ორ ქულას გეგმავდნენ და თუ ვინმე დანიის დედაქალაქში ქულას მაინც დაკარგავდა (სტუმრად დანიელები, როგორც წესი დიდი ანგარიშით მარცხდებოდნენ), უმალ სენსაციად მოინათლებოდა ხოლმე. არც იყო გასაკვირი, აბა, რა ნაკრები უნდა დაეყენებინათ არაპროფესიონალი ფეხბურთელებისაგან, რომელთათვისაც ფეხბურთის თამაში თვით ლიდერ „კ.ბ", „ბ.კ" „ა.ბ", „1903" თუ „93" „კოპენჰაგენებშიც" კი გართობად ითვლებოდა. მოკლედ, დანიაში ფეხბურთის მცირერიცხოვან ფანებს ერთი ალან სიმონსენი თუ ახარებდათ. ამ ჩია ფორვარდის თამაში კი მართლაც განსაცვიფრებელი იყო „ბარსელონაშიც„" და დორტმუნდის „ბორუსიაშიც", მისმა პირველობამ 1977 წელს „ფრანს ფუტბოლის" რეფერენდუმში ხომ ლამის იმხელა სიხარული მოუტანა დანიელებს, 1945 წლის 5 აგვისტოს ფაშისტური უღლის გადაგდებისას რომ განიცადეს. მაგრამ სიმონსენის „ლალადს უდაბნოსა შინა" უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია და 70-იანი წლების დასაწყისში ბევრი დანიელი ბიჭუნა დაინტერესდა ფეხბურთით. ნელ-ნელა ეს ბიჭები წამოიჩიტნენ, ბურთის ყოჩაღად გორებაც ისწავლეს და 70-იანი წლების ბოლოს ბუნდესლიგის, ჰოლანდიის თუ სხვა ქვეყნების კლუბების სელექციონერებმა სტუმრობასაც უხშირეს მეზღაპრე ანდერსენის სამშობლოში და ჩალის ფასად მიჰყავდათ ლამის ტუჩზე რძეშეუშრობელი დანიელი „მამლუქები" თავიანთ ქვეყნებში.

მაგრამ კარგი ფეხბურთელები ერთია, ძლიერი ნაკრები კი სულ სხვა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1979 წლის 1 ივნისის საღამოს დანიის ფეხბურთის ფედერაციაში, 11-ათასიან „ბრონდბიუშტადიონზე" რომ ბინადრობს, ეროვნული ნაკრების მწვრთნელად კურტ ნილსენის ნაცვლად 40 წლის დედით დანიელი და მამით გერმანელი იოზეფ (ზეპ) პიონტეკი დაინიშნა, ახალგაზრდობაში ბრემენის „ვერდერის" საკმაოდ ცნობილი ნახევარმცველი, ბუნდესლიგაში 203 მატჩში თოთხმეტი გოლი რომ გაეტანა და ჰალერის, ზეელერის და ემერიჰის დროინდელ ნაკრებში ექვსი თამაშიც ჩაეტარებინა. მწვრთნელადაც „ვერდერში", „ფორტუნასა" და „ზანკტ-პაულიში"ემუშავა ათიოდე წელი...


პიონტეკის ყოჩალი შეგირდი რიჰარდი

პიონტეკი ახალი ცოცხის კვალობაზე მარჯვედ დატრიალდა, ვეტერანი სიმონსენი გვერდით ამოიყენა და დანიიდან აფრენილი და ევროპაში დაფრთიანებული ვიკინგების თამაშების სანახავად არაერთი ათასი კილომეტრი გაიარა. „კიოლნში" ერთი ნიჭიერი ბიჭი ეგულებოდა, ლოთბაზარას, მუსუსისა და შფოთისთავის სახელი რომ დაეგდო. ამ ბიჭზე, პრებენ ლარსენს რომ ეძახდნენ, ცნობილ მწვრთნელს ვაისვაილერს პიონტეკი-სთვის ეთქვა, მაგისგან არაფერი გამოვა, ტყუილი წყლის ნაყვაა, ახლახან გუნდიდან გავაგდე და ბელგიას წავიდა თანაც მაჩანჩალა „ლოკერენშიო". მაგრამ პიონტეკი თავისაზე დადგა, ლარსენს დაუყვავა და შენი იმედი მაქვსო — უთხრა, პ.ს.ვ. ეინდჰოვენიდან მთელი ნახევარდაცვა — სიორენ ლერბიუ, ფრენკი არნესენი, ივან ნილსენი ჩამოიყვანა, თავისაზე ორიოდ წლით უმცროს მორტენ ოლსენსაც უხმო, ერთი-ორი კაცი საკუთრივ დანიიდან დაიმატა, ხელები დაიკაპიწა და იმის კეთებას შეუდგა, „დანიური დინამიტი" რომ შეარქვეს. მუშაობის დაწყებიდან ორი თვის თავზე ამ დინამიტს პატრუქს ცეცხლიც მოეკიდა: ლონდონში, „უემბლეიზე", ევროპის ჩემპიონატის მატჩში ინგლისელებს თითქოსდა უპრობლემოდ უნდა მოეგოთ, მაგრამ მასპინძლები მხოლოდ კიგანის ერთადერთმა გოლმა იხსნა და ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა. ამ თამაშის მერე ინგლისე-


„წითელი რომარიო"

ლმა მწვრთნელმა რონ გრინვუდმა თქვა, ეს ნაკრები დაიხსომეთო. მართლაც — დანიელებმა ნელ-ნელა გამარჯვებების გემოც გაიგეს. და 1982 წელს ინგლისელებმა კოპენჰაგენში დანიელებს რომ ვეღარ მოუგეს, ალარავის გაჰკვირვებია, „დინამიტი" კი 1983 წლის 21 სექტემბერს აფეთქდა, როცა „უემბლზე" სიმონსენის გოლით ინგლისი დამარცხდა და ევროპის 1984 წლის ჩემპიონატზე საფრანგეთში დანია წავიდა. მერე კი დაიწყო და დაიწყო: პიონტეკმა ევროპულ ფეხბურთში გარდატეხა შემოიტანა, სიგიჟე — სამი მცველით თამაში რეალობად აქცია და მსოფლიოს ექვსი წლის განმავლობაში ფანტასტიური ფეხბურთი აჩუქა. ის ლარსენი კი, ვაისვაილერმა რომ უმაქნისად შერაცხა, ჟურნალისტებმა „ბიზონად" და „გირგალად" მონათლეს. ერთი სიტყვით, პიონტეკი გახლდათ მესაძირკვლე იმ საქმისა, მისმა „გამოზრდილმა" რიქარდ მიოლერ-ნილსენმა ევროპის ჩემპიონთათვის განკუთვნილი ვერცხლის ძველბერძნული ამფორით რომ დაავგირგვინა...

მაპატიოს მკითხველმა ესოდენ ვრცელი შესავალი, რომელიც მხოლოდ იმად შევთავაზე, რომ ერთხელ კიდევ შემეხსენებინა მისთვის, თუ როგორ იქცა ერთ დროს საფეხბურთო ევროპის „მახინჯი იხვის ჭუჭული" მშვენიერ გედად და ახლა დანიელთა სტუმრობა ნებისმიერ ქვეყანაში ლამის წლის მთავარ საფეხბურთო მოვლენად ალიქმება. მეზობელ სომხეთს საკუთარი სურვილითა და რედაქციის შეწევნით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე ორი დღით ადრე გავემგზავრე, რათა ევროპის ჩემპიონები აეროპორტშივე მენახა. პირველი პეტერ შმაიხელი გამოჩნდა, მერე მიქაელ (ბრიან ლაუდრუპი, მეც ამ სამეულს ამავე თანამიმდევრობით გავესაუბრე და მათთან ინტერვიუებს შემდგომ შემოგთავაზებთ), მერე კი იერიში სხვებზეც მივიტანე, თუმცა, ყველაფერი თანმიმდევრობით...

დანიელები სასტუმრო „არმენიაში" ჯერ არც დაბინავებულიყვნენ, რომ ლამის უკან გაბრუნდნენ: უეცრად შუქი გამოირთო და ესენიც გახევდნენ — ვერ გაეგოთ, რა მოხდა. 41 დანიელი ჟურნალისტიდან ზოგმა ისიც კი მკითხა, ხომ არ იცი, ჩვენს თავს რა უბედურება ტრიალებსო. ნირწაუმხდარი მასპინძლები რომ დაინახეს, მერე კი დამშვიდნენ. გენერატორიც მალე ამუშავდა და ყველაფერი კალაპოტში ჩადგა...

იმავ დღეს დანიელები „ჰრაზდანის" სტადიონს (ასე გამოითქმისო, მითხრეს სომეხმა კოლეგებმა) ეწვივნენ და საათნახევარიც ივარჯიშეს. სანამ მათი მწვრთნელი მიოლერ-ნილსონი ბუცებს იცვამდა, კითხვას-კითხვაზე ვაძლევდი

**— ბატონო რიქარდ, უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?**

— სამწუხაროდ არა, კიმ ვილფორტს წელი და ფეხი აწუხებს, ზოგი ფეხბურთელიც ვერ იყო ფორმაში.

**— სომხეთში მოგებას გეგმავთ?**

— კვიპროსთან ფრედ დამთავრებული თამაშის მერე ყველა მატჩში მოგება გვჭირდება, ჩვენ და ბულგარელებს ახლა თერთმეტ-თერთმეტი ქულა გვაქვს და უფლება აღარ გვაქვს, ქულები დავკარგოთ.

**— კონტრაქტით ნაკრებს 1996 წლის 30 ივლისამდე უდგახართ სათავეში. შემდეგ რას აპირებთ?**

— ჯერ ამაზე არ ვფიქრობ თუ ინგლისის საგზური მოვიპოვეთ და ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზეც წარმატებით გამოვედით, შეიძლება კონტრაქტის გაგრძელებაზეც ვიფიქრო...

**— მოდით, 1992 წლის ევროპის ჩემპიონობა გავიხსენოთ...**

— ევროპის ჩემპიონატზე იუგოსლავიელთა მაგიერ რომ დაგვიშვეს, მარაგში სულ რამდენიმე დღეღა მქონდა დარჩენილი. ფეხბურთელები შვებულებაში იყვნენ, ჩამოსვლაზე ძლივს დავიყაბულე, მერე ჰონორარების გაზრდა მოითხოვეს. ესეც მოვაგვარეთ. საუკეთესო დანიელი ფეხბურთელს, მიქაელ ლაუდრუპს კი ვერაფერი მოვუხერხე — ნაკრებს „ბარსელონაში" თამაში არჩია. ყველაზე მეტი იმედი ფლემინგ პოულსენის, პეტერ შმაიხელის და ბრიან ლაუდრუპის მქონდა, რომელიც, საბედნიეროდ ძმას არ აჰყვა. წარმატების იმედი არ მქონდა, თუმცა ვიცოდი, რომ ჩვენ არავინ არაფრად გვაგდებდა და ეს მაიმედებდა. ვგრძნობდი, მეტოქეებს სიურპრიზებს შევთავაზებდით.

პირველ მატჩში ინგლისელებთან შმაიხელის იმედზე ვიყავი, ის ხომ ინგლისში თამაშობდა. ჩვენებმა კი ისე ითამაშეს, მატჩი უეჭველად უნდა მოეგოთ, ყოველ შემთხვევაში, ერთი-ორი გოლი ნაღდად უნდა გაგვეტანა. მეორე მატჩში შვედებთან უსუსტესად ვითამაშეთ. ფრანგებთან კი


ბრიან ლაუდრუპი მატჩის წინა დღეს ინტერვიუებს არიგებდა და ჯერ არ იცოდა, რომ ვერ ითამაშებდა

მჯეროდა ჩემი ბიჭების, ვიცოდი, შეუძლებელს შეძლებდნენ. ფრანგებთან ნათამაშები პირველი ტაიმი კი საუკეთესო იყო ჩემი ხელმძღვანელობით მანამდე ჩატარებულ მატჩებს შორის. ნახევარფინალში ჰოლანდიელებთან განვცვიფრდი, როგორ გავძელით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელებმა მეორე გოლი გაგვიტანეს. როცა ჯერი პენალტებზე მიდგა, დავწყნარდი — ჩვენ ხომ კარში შმაიხელი გვყავდა.

ფინალი კი ჩვენი ძირითადი ლერძის — შმაიხელ-კრისტოფტე-პოულსენის წყალობით მოვიგეთ, თუმცა ყველამ ძლიერად ითამაშა. ჩემს მაშინდელ განწყობილებას ვერავითარი სიტყვებით ვერ გადმოგცემთ...

**— რით განსხვავდება თქვენი და პიონტეკის მუშაობის სტილი?**

— იგი მკაცრი და მომთხოვნი იყო. მე კი უფრო დამყოლი კაცი ვარ, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ჩემს „აღმზრდელად" სწორედ პიონტეკს ვთვლი.


ინკოგნიტო ვან ჰიმსტი

... შევამჩნიე, რომ მწვრთნელს ბუცები კარგა ხნის შეკრული ჰქონდა და მხოლოდ ზრდილობის გამოღა მელაპარაკებოდა. მოვუბოდიშე და ფოტოაპარატი მოვიმარჯვე. რიქარდმა ფეხბურთელებს ბურთით ვარჯიში მოსთხოვა, თავვად კი მეკარეთა წვრთნას მიჰყო ხელი. ვარჯიშის მერე სულ რამდენიმე წუთი იყო ჩემს განკარგულებაში. 1992 წლის ფინალის გმირს, არსენალელ ჯონი იენსენს ესღა ვკითხე:

**— ვარჯიშზე ყველა „ფაქსეს"რატომ გეძახდათ?**

— „ფაქსე" — ლუდის სახელია, რომელიც მე ძალიან მიყვარს. ლონდონში შემარქვეს.

... დანიის ბოლო ჩემპიონტის საუკეთესო ბომბარდირი ერიკ ბო ანდერსონი უფრო დიდი ხნით მოვიხელთე:

**— დანიის ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი გახდით, ახლა რაზე ოცნებობთ?**

— ჩემი ოცნება მუდამ ეროვნული ნაკრების მაისური იყო. ამიტომ ახლა უზომოდ ბედნიერი ვარ.

**— დანიელებს ტრადიციულად „ჰუმელის" შავ-თეთრი ბუცები აცვიათ. თქვენ კი რატომღაც წითელი...**

.— ჩემი საყვარელი ფეხბურთელი რომარიოა. ქალალი თმების გამო ყველა „წითელ რომარიოს" მეძახის. მეც მივეჩვიე ამ ფერს და ამიტომაც მხოლოდ წითელი ბუცებით ვთამაშობ.

**— დანიის ჩემპიონატის ბომბარდირი ხვალ თუ გაიტანს გოლს?**

— თუ მწვრთნელმა მათამაშა, უეჭველად გავიტან.

**.— თქვენს კლუბს, „ოლბორგს" ახლა ზეპ პიონტეკი წვრთნის...**

— პიონტეკი დიდი მწვრთნელი, სწორედ მისი დამსახურებაა კლუბის ჩემპიონობაც და ჩემი ბომბარდირობაც.

**— კიევში „დინამოსთან" 0:1 წააგეთ. შეძლებთ შინ იმ ანგარიშით მოგებას, ჩემპიონთა ლიგაში რომ მოხვდეთ?**

— ვფიქრობ, ის მატჩი ფრედ უნდა დამთავრებულიყო. მე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენე. „დინამო" ძალზე ძლიერი გუნდია, თუმცა არც ჩვენ ვართ სუსტები და მოგებას შევეცდებით.

**— საქართველო თუ გაგიგონიათ?**

. — გეორგია, გამიგონია. ადრე რუსეთის ნაწილი იყავით, ისევე, როგორც უკრაინა, მაგრამ ახლა თავისუფლები ხართ. სხვა არაფერი ვიცი...

„წითელი რომარიოს" წარმატება კი ვუსურვე, მაგრამ მიოლერ-ნილსენმა იგი არც ძირითადში დააყენა, არც შეცვლაზე გამოიყვანა. მთელი მეორე ტაიმი იგი ჩემს გვერდით ხურდებოდა სარბენ ბილიკზე და ამაოდ იყურებოდა მწვრთნელისკენ...

... მეორე დღეს აბოვიანში 14 საათზე ერთმანეთს სომხეთისა და დანიის ახალგაზრდული გუნდები შეხვდნენ. ოლბორგელმა ჟურნალისტმა ფლემინგ ოლსენმა მითხრა, ჩვენს მეცხრე ნომერს, ჯონ დალ ტომასონს დააკვირდი, ცხრამეტი წლისაა და მასზე დიდ იმედებს ვამყარებთო. როგორც დანიელთა უმრავლესობა, ტომასონიც ჰოლანდიაში წასულა სათამაშოდ, „ჰერენვეენში", სადაც ერთი ხანობა მერე [illegible] თამაშობდნენ. [illegible] მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ყველაზე უფრო 20 წლის მარტინ იორგენსენი მომეწონა. დანიელები აგებდნენ, მაგრამ ტაიმის ბოლოს ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მერე კი ჩემმა რჩეულმა იორგენსენმა დააწინაურა თავისიანები. მეორე ტაიმში დანიელებმა სომხები აშკარად დაჩაგრეს, ეგ იყო, ხუთი ნაღდი საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გაიტანეს (ტომასონი), მატჩის ბოლო წუთზე კი დაცვაში, შეცდნენ, კოჩარიანს ულამაზესი გოლი გაატანინეს და მხოლოდ 3:2 მოიგეს. იორგენსენი მატჩის საუკთესო მოთამაშედაც აღიარეს, ლამაზი ვაზაც აჩუქეს. იგი მეც დავაჯილდოვე, ქართული სუვენირით და, ცხადია, გამოველაპარაკე კიდეც შესაძლო ვარსკვლავს...

— ოცი წლისა ვარ, „ორჰუსის" მეორე გუნდში ვთამაშობ, მეორე დივიზიონში. ჩემი კერპი მარკო ვან ბასტენია, მინდა, მასავით დიდი ფეხბურთი ვითამაშო, ჯერ უმაღლეს დივიზიონში, მერე კი დანიის ნაკრებში... ეს საუბარი იყო და, უცებ გასახდელში... მიშელ იდალგო შემოვიდა...

საუბედუროდ, იდალგომ ინგლისური არ იცოდა, მე — ფრანგული. კარგა ხანს ჟესტებით ვსაუბრობდით. ბოლოს იდალგომ ერთ კაცზე მიმითითა, ამან ყველაფერი იცის ჩემზეო. ის კაცი, გაცრეცილი ჯინსები და უბრალო სპორტული ფეხსაცმელები რომ ეცვა, საფრანგეთის ერთ-ერთი უმდიდრესი მოქალაქე, ეროვნებით სომეხი ალბერ ასტანიანი გამოდგა. უამრავი სიმდიდრის გარდა იგი მარსელის მახლობლად ბრწყინვალე საფეხბურთო ბაზასაც ფლობს, სადაც ხანდახან საფრანგეთის ნაკრებიც კი ემზადება. ასტანიანის არჩევა მარსელის „ოლიმპიკის" პრეზიდენტადაც სურთ. საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი იური ჯორკაეფი მისი ნათლული ყოფილა. თურქეთში დაბადებული და საფრანგეთში გაზრდილი. ასტანიანი დიდი პატრიოტია და ყოველგვარი საზღაურის გარეშე სომხეთის ნაკრებსა და ერევნის „არარატს" მარსელში უფასო შეკრებებს უწყობს. მისი თქმით, შესაძლოა, მალე სომხეთის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტობა თვით მიშელ იდალგომ გაუწიოს. ევროპის 1984 წლის ჩემპიონატის ტრიუმფატორმა მწვრთნელმა კი მითხრა, რომ მას მობეზრდა დიდი ფეხბურთი და ახლა...მხატვრობას მიჰყო ხელი. ეს მისი დიდიხნის ოცნება ყოფილა.

**— ნუთუ ფეხბურთთან აღარაფერი გაკავშირებთ?**

— პატარა ბავშვებს ვავარჯიშებ მარსელის მახლობლად.

მიუხედავად იმისა, რომ იმავე დღეს პარიზში საფრანგეთის ნაკრები პოლონეთს ხვდებოდა, ასტანიანს მაინც დაეყოლიებინა მიშელ იდალგო ერევანში გამოფრენილიყვნენ ერთი დღით...

მატჩს ბელგიელთა მთავარი მწვრთნელი


მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი მიშელ ბეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰრაზდანზეც აფეთქდა

ვან ჰიმსტიც ესწრებოდა რამდენიმე ბელგიელ ჟურნალისტთან ერთად. ბელგიური ფეხბურთის სიამაყე, ახლახან იქაურმა მე-



მატჩის წინ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს პეტერ შმაიხელს წელიც აწუხებდა და კოჭიც.

დიამ საუკუნის საუკეთესო ბელგიელ ფეხბურთელად რომ შერაცხა, ჟურნალისტებთან კონტაქტს ერიდებოდა და სასტუმროდან გამოსვლისთანავე უმალ მანქანას მიაშურებდა ხოლმე. რომ არაფერი გამომივიდა, მის დევნას თავი ვანებე და სამახსოვრო ფოტოსლა დავჯაბულდი.

### სომხეთი 0:2 დანია

ერევანი, 16 აგვისტო „ჰრაზდანის" სტადიონი, 27000 მაყურებელი

სომხეთი: არმენ პეტროსიანი, ჰოვსეპიანი, ვართან ხაჩატრიანი, აშოტ ხაჩატრიანი, ჰოვანესიანი, ტონოიანი, არტურ პეტროსიანი, გრიგორიანი, თაჰმაზიანი (ტერ-პეტროსიანი 41), შაჰგელდიანი, არსენ ავეტისიანი (ვარაზ ავეტისიანი 82)

დანია: შმაიხელი, ლაურსენი, რიპერი, ჰოგი, რისაგერი (შენბერგი 86), ტომსენი, იენსენი (ალან ნილსენი), ბრიან ნილსენი, ბეკი, მიქაელ ლაუდრუპი, რასმუსენი

0:1 მიქაელ ლაუდრუპი (33), 0:2 ალან ნილსენი (46)

გაფრთხილება: აშოტ ხაჩტრიანი; იენსენი

მსაჯი: პ.გ. დარდენე (გერმანია)

„ჰრაზდანის" სტადიონი იმ დღეს ერთადერთი განათებული იყო ერევანში, რაკილა სომხეთის დედაქალაქს ელექტროენერგია ძალიან უჭირს. თამაში თვით სომხეთის პრეზიდენტმა ტერ პეტროსიანმაც დაათვალიერა.

მატჩს, ერევნის დროით (იგივე მოსკოვის დრო) 20 საათზე რომ დაიწყო, ჩემდა გასაკვირად, საოცრად მცირე აუდიტორია — 27 ათასი კაცი დაესწრო. წარმოვიდგინე, დანიის ნაკრები ჩვენს ქვეჯგუფში რომ მოხვედრილიყო...

მეტოქეებს ტრავმირებული თავდასხმის ლიდერები აკლდათ. სომხებს — ჩვენთვის კარგად ნაცნობ ავსტრიის „ტიროლში" მოთამაშე ერვანდ სუკიასიანი, დანიელებს



მიქაელ ლაუდრუპი და ბეკი სომეხთა საჯარიმოში

— რეინჯერზელი ბრიან ლაუდრუპი. გერმანელებთან ქართველებისა არ იყოს, სომხებსაც ჰიმნების შესრულების დროსვე აშკარად ეტყობოდათ წინასასტარტო ციებცხელება, დანიელები კი როგორც ევროპის ჩემპიონებს შეეფერება, მშვიდად იყვნენ და ასამდე გულშემატკივართან ერთად ეროვნული ჰიმნიც დააგუგუნეს. მიუხედავად ამისა, სომხებმა თავიდანვე შეუტიეს, მაგრამ ეტყობოდა, მალევე რომ „დაიშლებოდნენ". მართლაც, იმ სახიფათო შეტევის შემდეგ, შაჰგელდიანმა და არსენ ავეტისიანმა რომ განახორციელეს, პირველი ტაიმში მასპინძლებმა ბევრი ვერაფერი შეძლეს. არადა დანიელები მათ ამის საშუალებას აძლევდნენ, ყოველ შემთხვევაში, აშკარა ტერიტორიული უპირატესობა პირველ ნახევარში ევროპის ჩემპიონებს არ ჰქონიათ. ისინი ოთხი მცველით, ხუთი ნახევარმცველით და ერთი თავდამსხმელით (ბეკი) თამაშობდნენ. მიქაელ ლაუდრუპი კი განთავისუფლებული იყო ყოველგვარი შავი სამუშაოსაგან და თანაგუნდელთა შეტევების სწორი კალაპოტით წარმართვას ცდილობდა. პირველ ტაიმში, ჩემი დაკვირვებით, ყველაზე სუსტად დანიელთა რიგებში „ფაქსე" იენსენი თამაშობდა, ბურთსაც ერთობ ხშირად ჰკარგავდა. ლოჟაში ჩემს გვერდით მჯდომი ბრიან ლაუდრუპი აშკარად აკლდათ დანიელებს. 30-ე წუთზე რისაგერმა მარცხენა ფლანგზე პოზიციური შეცდომა დაუშვა, არსენ ავეტისიანმა ისარგებლა „დერეფნით", მარჯვენა ფრთიდან სწრაფად მიუახლოვდა კარს, მაგრამ იმის ნაცვლად, ზუსტად დაერტყა, არ ვიცი, შმაიხელისა შეეშინდა თუ რა იყო, ნაადრევად და უზუსტოდ დაარტყა ბურთი გვერდიდან მოხვდა ბადეს. ეს იყო და, დანიელთა საპასუხო შეტევისას ბეკმა, რომელიც ერთი კაცის კვალობაზე მეტად სახიფათოდ და აქტიურად ირჯებოდა, საჯარიმოს მისადგომებთან, მარცხნივ, ლამაზი ფინტით ჩამოიცილა მეურვე და ცაციათი გამოზომილი პასი ჩააგდო საჯარიმოში, აქ კი მიქაელ ლაუდრუპმა მცველსა და მეკარეს დაასწრო და თავით გადაუგდო ბურთი არმენ პეტროსიანს 1:0. ამან სულ გატეხა სომხები და მეორე ტაიმიც დაბნეულებმა დაიწყეს. დაწყება და გოლი ერთი იყო. იენსენის ნაცვლად გამოსულმა ნაკრების დებიუტანტმა, 24 წლის ალან ნილსენმა შეტევის მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, მცველი ჩამოიცილა და წინგამოსული მეკარე რომ დაინახა, ვერ გეტყვით კარში დაარტყა თუ ჩააწოდა, მაგრამ გოლი კი გაიტანა. ასე აღინიშნა ნაკრებში დებიუტის პირველივე წუთი გოლით ალან ნილსენმა. (მატჩის მერე დანიელმა ჟურნალისტებმა იგი სკამზე შეაყენეს, ყველას რომ დაენახა და ყველასთვის რომ ეპასუხა.)

ამის მერე ფეხბურთი მორჩა და მეორე ტაიმი კატათაგობანას დაემსგავსა. დანიელები, რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ, რამდენიმე საგოლე მომენტიც ვერ გამოიყენეს. ორჯერ მიქაელ ლაუდრუპმა ისეთი ხელსაყრელი მდგომარეობიდან გაარტყა



ბრონდბიუელმა ალან ნილსენმა ნაკრებში დებიუტი გოლით აღნიშნა, რომელიც წამის შემდეგ გავა

მცველებს ბურთი, თავად გაოგნდა, მაგრამ როგორც სჩვევია, არ გაწოლილა და ბალახის გლეჯვა არ დაუწყია — დანანებითთ გადაქნია თავი.

მატჩის მერე დანიელებს ეჩქარებოდათ და ასე ვიცოდით პრეს-კონფერენცია არ იქნებაო. მეც დანიელთა გასახდელს მივაშურე. რიქარდ მიოლერ ნილსენი იქ არ დამხვდა. გამოვბრუნდი უკან და ასეთ სცენას შევესწარი: ორი მილიციელი რიქარდს წინ გადასდგომოდა და ერთ ოთახში არ უშვებდნენ, რომელსაც ინგლისურად „პრესა" ეწერა. რიქარდმა მიცნო და ხელი მტაცა — იქნებ მიშველო, პრესკონფერენცია სად არისო. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ ყველა კარი ჩარაზული აღმოჩნდა, რაკილა დანიელებს ჩამოსვლის დღესვე განუცხადებიათ — თამაშის მერე მყისვე მივდივართ და პრესკონფერენცია არ შედეგბაო. დანიელ მწვრთნელს ვუთხარი, რომ პრესკონფერენცია არ იქნება-მეთქი და მასთან ერთად კვლავ გასახდელისკენ გამოვეშურე.

— დღეს ვინ იყო საუკეთესო?

— უდავოდ ბეკი. დღეს ძალზე ძლიერად ითამაშა.

— თქვენი გუნდის თამაშს როგორ შეაფასებდით?

— პირველი ტაიმი ცუდად ვითამაშეთ.



შემორიგებულ მიქაელ ლაუდრუპს მიოლერ ნილსენმა ნაკრებში დაბრუნებისთანავე კაპიტნის სამკლაური უფეშქაშა

სხვათაშორის, გოლამდე ერთი ხანობა სომხებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს. ბურთიც გაგვიგორეს, მერე კი შევძელით წარმატების მოპოვება.

— ახლა თოთხმეტი ქულა გაქვთ, გეყოფათ გასასვლელად?

— ისე ვარ დაბნეული, ვერც გეტყვით, რამდენი ქულა მოვაგროვეთ. მთავარია, ბელგიაში ქულა მაინც ავილოთ...

ფეხბურთელები უცებ გამოვიდნენ გასახდელიდან და ათიოდ წუთის განმავლობაში ინტერვიუებსა და ავტოგრაფებს არიგებდნენ. რაც შეეხებათ ჩემს დანიელ კოლეგებს, ისინი მატჩის შემდეგ ორი საათის განმავლობაში კიდევ პრეს-ლოჟაში ისხდნენ და თავიანთ რედაქციებს დანიელთა გამარჯვებას ამცნობდნენ...

მამუკა კვარაცხელია
ერევანი — თბილისი
ავტორის ფოტოები

ერევანში გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ სომეხ ჟურნალისტებს: ზავენ ვართანიანს, ყოფილ თბილისელ კოლეგას სლავა სარქისიანს და განსაკუთრებით წარმოშობით ბათუმელ მისაკ ნაზარიანს, რომელთაც ამ გაჭირვებულ ჟამს ძმური დახმარება და კოლეგიალობა აღმოაჩინეს. ასევე მადლობას ვუხდი სტეფანავან-თბილისის მარშრუტის მძღოლს ვასილ ედიშერაშვილს.



რასმუსენსა და ბეკს ვართან ხაჩატრიანი და ჰოვსეპიანი დარაჯობენ



პეტერ რასმუსენისა და ვართან ხაჩატრიანის საჰაერო დუელი ადარაფერს წყვეტს

„შერეკილები“ — ამ რუბრიკით მოგითხრობთ ადამიანებზე, რომლებსაც თავის დროზე უგუნური იდეა დაბადებიათ და მისი განხორციელებისთვის სასიკვდილოდაც გამზადებულან. მაგრამ ვინ არიან ისინი, ვის შეიძლება ვუწოდოთ შერეკილები?

შერეკილი იყო ის, ვისაც პირველად მოუვიდა იდეა ცაში აჭრილიყო და ჩიტივით ენავარდა, შერეკილი იყო ის, ვინც გადაწყვიტა იახტით ხმელეთზე გამოუსვლელად მარტოდმარტო შემოეცურა დედამიწისთვის, ან გამყოლის გარეშე ლა მანშს შებმოდა. შერეკილი იყო ის, ვინც დედამიწის უმაღლეს მწვერვალს მარტოდმარტო შეებრძოლა.

რომ არა ეს ხალხი და მათი მსგავსი პიროვნებები, კაცობრიობა ალბათ ისევ გამოქვაბულში იცხოვრებდა. ის, რასაც თავის დროზე უგუნურ იდეას უწოდებდნენ, ის, რაც ერთ დროს გიჟობა იყო, დღეს ლამის ჩვეულებრივი რამ გამხდარა.

ჯორჯ მელორი, რომელმაც ენდრიუ ირვინთან ერთად ჯომოლუნგმა ლამის პირველმა დალაშქრა (ან იქნებ დალაშქრა კიდეც) და მწვერვალის სიახლოვეს დაიღუპა, წერდა: „ერთ კარგად აკლიმატიზებულ წყვილს შეუძლია რონგბუკის მყინვარიდან მწვერვალამდე ექვს დღეში ავიდეს.“ მაგრამ ამ საქმისთვის „ორი ძალზე ცოტაა, რადგან ერთს თუ რაიმე შეემთხვა, მეორე მას ვერ დაეხმარება“.

ეს რომ ჩვენმა თანამედროვე რაინჰოლდ მესნერმა წაიკითხა, დაასკვნა: „ორი — ეს მეტისმეტად ბევრია. ერთიც სრულიად საკმარისია, თუ ის ერთ ჩრდილოეთ უნაგირაზე ავა, თუ დაბრუნების დრო დარჩება და თუ მზად იქნება დაიღუპოს, როცა ეს გარდაუვალი გახდება“. რაინჰოლდ მესნერიც საამისოდ მზად იყო. დღეს სწორედ მასზე მოგითხრობთ.



# როგორ ნატრობენ ჩემს სიკვდილს...

კაცი, რომელმაც დედამიწის თოთხმეტივე უმაღლესი პიკი პირველმა დაიპყრო, კაცი, რომელიც ჯომოლუნგმაზე პირველი ავიდა ჟანგბადის ბალონების გარეშე, კაცი, რომელმაც ძე ხორციელთაგან პირველმა აბსოლუტურად მარტომ დალაშქრა ყველა მწვერვალთა მწვერვალი, კაცი, რომელიც ჩვენს თვალწინ ლეგენდად იქცა... საკუთარი სახლის მეორე სართულზე ამძვრალი გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა. ორ ლიტრამდე სისხლი დაუკარგავს და ექიმების ვარაუდით გამოჯანმრთელების მერე მთაში სიარულს ვეღარ შესძლებს.

— იმდენჯერ განმიცდია საკუთარი სიკვდილი, დარწმუნებული ვარ, მას მთებში შევხვდები, — ამბობდა მესნერი, მაგრამ მას მთაში კი არა, ბარში, საკუთარ სახლში გადაეყარა და ძლივს გადაურჩა.

აუ, რამდენს გაუხარდებოდა რაინჰოლდ მესნერის ბედის ასეთი ირონია. უფრო მეტად მისი სიკვდილი გაუხარდებოდათ, თანაც როდის, თავისი პირველი რვაათასიანის დალაშქვრიდან 25 წლის თავზე.

არა, მესნერის ბედის ასეთი მწარე დაცინვა არ გაუხარდებოდათ მის კონკურენტებს, არ გაუხარდებოდათ, რადგან ამ მთამსვლელს ასეთები აღარც ჰყავდა — მესნერი პირველი იყო, პირველის პირველი კი აღარ არსებობს.

— ოჰ, რომ იცოდეთ, რამდენს არ ვუყვარვარ, როგორ ელიან ჩემს სიკვდილს ზოგიერთები. მე ყველას ვღიზიანებ: იტალიის მთამსვლელთა კლუბს — იმიტომ, რომ მისი წევრი არა ვარ, ჩემს გერმანელ გამომცემელს იმიტომ, რომ, მისი აზრით, ჩემს წიგნებში არასაკმაო ადგილს ვუთმობ ალპინიზმს; ჩემს კოლეგებს იმიტომ, რომ გადამლაშებულ ინდივიდუალისტად მივაჩნივარ; ჩემს სამხრეთტიროლელ თანამემამულეებს იმიტომ, რომ ნაციონალისტი არა ვარ. არა, მე იმათ არ ვუყვარვარ, ისინი ჩემს სიკვდილს ელიან.

მაშინ, 25 წლის წინათ, რაინჰოლდი თავის პირველ რვაათასიანზე, ნანგა პარბატზე უმცროს ძმასთან, გიუნტერთან ერთად მანამდე უვალი რუპალის კედლის ავლით ავიდა, მაგრამ იქიდან რაინჰოლდი მარტო ჩამოვიდა, გიუნტერმა კი ყინულებში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

ეს ტრაგედია ექსპედიციის ხელმძღვანელის უთავბოლობის გამო დატრიალდა. დათქმული იყო, რომ კარგი ამინდის შემთხვევაში ძმები ბოლო საიერიშო ბანაკიდან ერთად შეუტევდნენ მწვერვალს, მეორე დღეს კი მათ კვალს მეორე წყვილიც მიჰყვებოდა. ცუდი ამინდის პროგნოზის შემთხვევაში მხოლოდ რაინჰოლდი ეცდებოდა მიზნის მიღწევას, რათა რაც შეიძლება სწრაფად ასულიყო მწვერვალზე და გაავდრებამდე უკანაც დაბრუნებულიყო.

ძმებს ამინდის პროგნოზი ექსპედიციის მეთაურისაგან წითელი ან მწვანე მაშხალის გასროლით უნდა შეეტყოთ. წითელი ავდრის მოახლოებას ნიშნავდა. ძმებმა წითელი მაშხალა დაინახეს, მაგრამ რა იცოდნენ, რომ შეცდომით მწვანის ნაცვლად ისროლეს. ამიტომ, როგორც დათქმული იყო, რაინჰოლდი შუალამისას მწვერვალისკენ გავარდა. სწრაფად რომ ევლო, არც კარავი წაუღია, არც თოკი და არც საკვები. შვიდი საათის სიარულს შემდეგ დაინახა, რომ მის კვალს ვიღაც მიჰყვებოდა. რაინჰოლდმა იმ კაცს მოუცადა. იგი თავისი ძმა აღმოჩნდა. ისიც უკარვოდ, უთოკოდ და უსაკვებოდ წამოსულიყო მას მერე, როცა დარწმუნდა ამინდის გაფუჭებას პირი არ უჩანსო.

ისინი საკმაოდ სწრაფად ავიდნენ მწვერვალზე, მაგრამ რაკი თოკი არ ჰქონდათ, შედარებით იოლი გზით დაიწყეს დაშვება. თითქმის სამშვიდობოს იყვნენ ჩამოსულნი, როცა რაინჰოლდი დაწინაურდა. მერე ძმას გახედა და ვეღარსად დაინახა. იფიქრა, ჩამომრჩაო და ერთხანს მოუცადა. რომ არა და არ გამოჩნდა, ძებნა დაუწყო, მაგრამ ვეღარსად მიაგნო. იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ორი წლის მერე რაინჰოლდი ფრანც ეგერთან ერთად მანასლუზე სამხრეთ-დასავლეთიდან ასევე ახალი მარშრუტით ადის. ქანცგაწყვეტილ ეგერი გზას ვეღარ აგრძელებს და კარვისკენ ბრუნდება, მესნერი კი მარტოდმარტო აღწევს მიზანს. კარავში ჩამოსულს ეგერი იქ აღარ დახვდა — იგი ბანაკიდან სულ რამდენიმე ნაბიჯის იქით უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მის ძებნაში კიდევ ერთი მთამსვლელი დაიღუპა.

1975 წელს მესნერმა თავის ძველ ნაცად მეწყვილე პეტერ ჰაბელერთან ერთად გადაწყვიტა მთელი ალპინისტური სამყარო გამოეწვია და მანამდე მხოლოდ ერთხელ



ჯომოლუნგმაზე მარტოდმარტო ასულმა რაინჰოლდმა ფოტოაპარატი ავტომატურ გადაღებაზე მომართა, თოვლში ჩასობილ წერაყინზე დაამაგრა, ღილაკს თითი დააჭირა და ჩინელების მიერ დატოვებულ სამფეხასთან ჩაჯდა. „ჩხაკ“ და აი, ის ისტორიული ფოტოც.

დალაშქრულ ჰიდენ პიკს (გაშერბრუმი I) „სირბილით“ შეუყვა. ისინი ყოველგვარი დაცვის, პალოს, თოკისა და ბანაკების მოწყობის გარეშე ერთ საათში საშუალოდ 150 მეტრით იწევდნენ ზემოთ. საბაზო ბანაკიდან მწვერვალზე ასვლა-ჩამოსვლას სულ ორ დღეს ანდომებენ, რითაც ყველას აოცებენ. ამით ისინი ჰიმალაის ბუმბერაზებზე ალპური სტილით ასვლას უყრიან საფუძველს.

1978 წელს ამ წყვილმა ახლა ჯომოლუნგმას შეუტია. ისინი გახდნენ პირველნი, ვინც დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ჟანგბადის ბალონების გამოუყენებლად ავიდ-ჩამოვიდნენ, თანაც ერთობ სწრაფად. თუმცა მესნერს არც მანამდე არც ამის შემდგომ ასეთი ბალონებით არ უსარგებლია. იგი თვლიდა და თვლის, რომ მთამსვლელმა ჟანგბადის ბალონის გარეშე უნდა იაროს და არც სხვა რამ ტექნიკური საშუალებები გამოიყენოს (შვეულმფრენი, პალოები...).

იმავე წელს მესნერი აბსოლუტურად სოლო ასვლას ახორციელებს სიკვდილის მთაზე — ნანგა პარბატზე, თანაც მანამდე უვალ დიამირის კედელზე. აქ მას ერთადერთი კლდის პალო მიაქვს, მაგრამ მკაცრი კრიტიკოსები მესნერს ამას ვერ პატიობენ.

მომდევნო წელს ქვეყანას ახლა ჩოგორიდან გადმოსცქერის.

1980 წელს ისევ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზეა. ამ ასვლით იგი ხდება პირველი ადამიანი, რომელიც ჯომოლუნგმას თავიდან ბოლომდე მარტოდმარტო იპყრობს, თანაც მუსონების პერიოდში და იგი ამ მხრივაც პირველია. იგი პირველია იმითაც, რომ დედამიწის უმაღლეს წერტილს საარაკოდ მოკლე დროში — მეორე დღეს აღწევს, და აქაც უვალი გზით (ნაწილობრივ).

ორი დღის მერე მესნერი უკვე 6500 მეტრ სიმაღლეზე დადგმულ კარავში იყო, სადაც მისი მეგობარი ჟურნალისტი ქალი ნენი რიტში ელოდა.

ნენი თავის დღიურში ასე აღწერს მესნერის დაბრუნებას: „მამაკაცები მუდამ ამბობენ, რომ ისინი მთებს იპყრობენ, მაგრამ აი, რაინჰოლდი ჩამოდის მწვერვალიდან და შეხვედრისას თავს მხოლოდ ერთხელ სწევს მაღლა, მერე დაბლა უვარდება.

რაინჰოლდი ბოდავს.

შევეკითხე: „რაინჰოლდ, როგორაა საქმე?“ პასუხად მოკლე ხროტინი გავიგონე. აი, ის, მხოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი ახლა ქანცგაწყვეტილი დგას ჩემს წინ. შეიძლება ითქვას, რომ მთამ იგი მას შემდეგ დაამარცხა, როცა მესნერმა დაიპყრო მწვერვალი“.

მესნერმა ამ ასვლისას თხუთმეტი კილოგრამი დაიკლო. ნენის რომ შეხვდა, ქანცგაწყვეტილი ქალის მკლავებზე გადაესვენა..

მერე იყო შიშა პანგმა (1981 წელი) და ბრწყინვალე „ჰეთ თრიკი“, როცა 1982 წელს კანჩენჯანგაზე, გაშერბრუმ-2-ზე და ბროუდ პიკზე ავიდა. სწორედ იმ წელიწადს გავიცანით და ვესაუბრეთ მესნერს მთამსვლელთა მექაში, ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში. მაშინ ის-ის იყო, მესნერი კანჩენჯანგადან დაბრუნდა.

საინტერესოა მესნერის აზრი მთამსვლელობაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, სხვა მარადიულ პრობლემებზე. ამ კითხვებიდან ბევრზე პასუხი მის წიგნებში ამოვიკითხე, ზოგზე თავად გვიპასუხა, ნაწილი კი კატმანდუში, სასტუმრო „ბლუ სტარში“ საბჭოთა მთამსვლელებისა და რაინჰოლდის საუბრისას ჩავიწერე. ახლა ზოგიერთ მის პასუხს გაგაცნობთ.

— სიკვდილი ყოველ ფეხის ნაბიჯზეა ჩასაფრებული, მაგრამ როცა მწვერვალს თავზე მოვექცევი, სულ აღარ მადარდებს, რამდენი წლისა დავიღუპები, — გვეუბნება მესნერი. — მწვერვალზე ასვლა სიკვდილის თავისებური გამოწვევაა.

— მაგრამ ხელოვნება ის კი არ არის, რომ სიკვდილი ვეძებოთ, არამედ ის, რომ ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეთ. სიცოცხლის სიყვარული ნიშნავს შენებურად გამოხატო იგი. მაგალითად, ვისაც დურგლობის ჭია უღრღნის გულს, ვინც მაგიდებსა და სკამებს აკეთებს, მას აზრადაც არ მოუვა კითხვა, თუ რისთვის ცოცხლობს. მას კი, ვინც მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ იმისთვის მუშაობს, რომ ოჯახი არჩინოს და შესაძლებლობა ჰქონდეს ტელევიზორის ეკრანთან სავარძელში მოკალათებულმა ლუდი წრუპოს, თავსატეხი უჩნდება: სულ ეს არის სიცოცხლე და მეტი არაფერი? რატომ ვზივარ ამ ყუთის წინ? რა აზრი აქვს სიცოცხლეს? ო, როგორ განსხვავდება ასეთებისაგან ადამიანი, რომელმაც ცხოვრებაში თავისი ადგილი იპოვა. ასეთ ადამიანს კითხვა სიცოცხლის აზრის შესახებ არასოდეს გაუჩნდება. უშრეტი შემოქმედებითი ენერგია მას ახალ-ახალი საქმეებისკენ უბიძგებს. და კიდევ: ადამიანი, ჩემი ღრმა რწმენით, თავგადასავლისთვის არის დაბადებული..

— ჩვენი პლანეტის ჯერ კიდევ შეუბღალავ ადგილებში განმარტოება მესაჭიროება, რათა სრულად შევიგრძნო საკუთარი თავი. პირადად ჩემთვის მთაში სიარული საკუთარი თავის გამოცდას ნიშნავს. ზოგიერთები მთამსვლელს უაზრობათა დამპყრობს უწოდებენ. არა, ჩემთვის მთამსვლელები გამოუთქმელად მნიშვნელოვანის დამპყრობნი არიან. მე, მაგალითად, ყოვლად უვარგის მამაკაცად ჩავთვლიდი თავს, წელიწადში ერთხელ მაინც რომ არ შევებრძოლო სტიქიას.

— მწვერვალი წმინდა ადგილია და იქ არავინ არაფერი არ უნდა დატოვოს. მწვერვალებს სისპეტაკე უნდა შევუნარჩუნოთ. ამიტომ ევერესტიდან უნდა გადმოვაგდოთ ის სამფეხაც, რომელიც ჩინელებმა დატოვეს.

„თქვენს შვილს თუ გაუშვებდით მთაში?“ — მინდოდა მეკითხა მესნერისთვის, მაგრამ თავად დამასწრო, კანჩენჯანგაზე საბაზო ბანაკში ექვსი წლის ვაჟიშვილი მახლდაო.

რაინჰოლდ მესნერი ამ მხრივაც პირველია, ვინც საკუთარი შვილი ასეთ სიმაღლეზე აიყვანა.

მაგრამ თვითონ რაინჰოლდის მშობელი რას ფიქრობდა, როცა მისი შვილი (თუ შვილები) მთაში სიკვდილს ებრძოდა.

„მე ვიცი, რომ შენ სხვაგვარად არ შეგიძლია, მაგრამ ფრთხილად იყავი!

ზუსტად ათი წლის წინათ შენ გიუნტერთან ერთად ნანგა პარბატზე ახვედი.

მაშინ ვიმედოვნებდი, რომ ეს ბოლო იყო.

მაგრამ შენ ისევ წახვედი მთაში, მიუხედავად ყველაფრისა, არ დამიკავებიხარ. ამას არც ახლა ვაკეთებ.

მე სულ უკეთ მესმის შენი ცხოვრების წესი.“

ეს ფრაგმენტია იმ პატარა წერილისა, რომელიც რაინჰოლდის დედამ შვილს 1980 წელს ჯომოლუნგმაზე მარტოდმარტო გავარდნისას მისწერა.

მაგრამ შვილის „გაგიჟებაში“ დედასაც ალბათ ლომის წილი მიუძღვის. რაინჰოლდსა და გიუნტერს, კიდევ მათ დანარჩენ შვიდ და-ძმას, პატარები რომ იყვნენ, ყოველ საღამოს ევერესტზე ასვლების ისტორიას ზღაპარივით უკითხავდა დედა.

მაშინ, რაინჰოლდთან ჩვენი შეხვედრისას ამ მთამსვლელს შვიდი რვაათასიანი მწვერვალი ჰქონდა დალაშქრული. იმ წელიწადს რომ ჰეთ-თრიკი დააგვირგვინა და მომდევნო წელს ჩო ოიუზე ჰანს კამერლინგერთან და მიჰაელ დაკერთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ კედელზე ახალი „ბილიკი“ გაიყვანა, ნათელი გახდა, რომ იგი დანარჩენ ოთხ რვაათასიანსაც ეცდებოდა, რათა ყველა ასეთ ბუმბერაზზე პირველგამკვლევი გამხდარიყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამას უკვე სპორტული აზარტი, ჟინი, მოვლენათა განვითარების ლოგიკა მოითხოვდა.

მაგრამ ამ საქმეში ზურგს უკან კონკურენტების სუნთქვა იგრძნო. ისინი რაინჰოლდის „გრაფიკს“ უსწრებდნენ — შვეიცარიელმა მარსელ რიუდიმ ერთ წელიწადში ხუთი რვაათასიანი დალაშქრა, თანაც აქედან სამი... თხუთმეტ დღეში. რვაათასიანების კოლექციას მესნერზე სწრაფად აგროვებდა პოლონელი ეჟი კუკუჩკა. თუმცა სამივე ამბობდა, რომ არავის ვეჯიბრები და ყველა რვაათასიანის დალაშქვრას არც ვაპირებო. მაგრამ რაც არ უნდა ეთქვათ, მათი მიზანი ნათელი იყო. ამიტომ რაინჰოლდმა გადაწყვიტა დანარჩენ ოთხ მწვერვალზე ახალი ბილიკები აღარ გაეკვალა, ნაცადი გზებით ევლო და ზედმეტ „ვაჟკაცობას“ არ შეეწირვოდა.

მაგრამ მესნერი რისი მესნერი იქნებოდა, თუ რაღაცას არ მოიფიქრებდა. და მოიფიქრა კიდეც — მეტოქეებს კატა-თაგვობანას თამაში გაუმართა და თავის გულშემატკივრებს ნერვები დააწყვიტა.

ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ აჩქარებულიყო და აუღებელი მწვერვალებისთვის შეეტია, ადგა და ჩო ოიუს მერე გაშერბრუმ 2 მეორედ დალაშქრა. იქიდან ჩამოსული რომ არ ეგონათ, სამი დღის მერე ახლა ჰიდენ პიკზე გაიმეორა ასვლა და მეტოქეებს დაწევის შანსი მისცა. მაინც ვერ დაეწივნენ.

1985 წელს ჯერ ანაპურნაზე ადის, 26 დღის მერე — დჰაულაგირზე. მომდევნო წელს მაკალუდანაც გადმოიხედა და ოცი დღის მერე ლჰოცზეზეც ამოჰყო თავი.

ეს ბოლო ასვლა მისთვის მეთვრამეტე წარმატებული ასვლა გახლდათ რვაათასიანებზე.

მესნერმა როცა რვთაათასიანების კომპლექტის შეგროვება დაიწყო, 26 წლისა იყო, საქმე რომ მოათავა — 41-ის.

ყოველივე ამის გამოც მესნერს მრავალი ეპითეტით ამკობდნენ: „მყინვართა კარისკაცი“, „უნერვო ადამიანი“, „ევერესტელი შერეკილი“, „ზეკაცი“... და კიდევ ვინ მოსთვლის, როგორი ალმატებული ეპითეტებით არ მოიხსენიებენ.

ყველა ეს ეპითეტი მისთვის ზედგამოჭრილია. მე იგი იეტსაც მაგონებს. სწორედ ამიტომ იყო იმ ჩვენი შეხვედრისას იეტის გამოსახულებიანი ღია ბარათი შევარჩიე და მესნერს ავტოგრაფი ვთხოვე. ის იეტი დახატული იყო ჰიმალაის ბუმბერაზების ფონზე, სადაც იგი მარტოდმარტო დაეხეტება. აკი მესნერიც იმ თოვლის კაცივით მარტოდმარტო „მოხეტიალეა“. მაგრამ ეს „ყველაზე პოპულარული ადამიანი დედამიწაზე“, ეს „შერეკილი“ მთამსვლელი მართლაც თავზეხელაღებული სულაც არ ყოფილა. მრავალი ალპინისტური რეკორდის ავტორი მწვერვალებიდან უკან დაბრუნებაშიც რეკორდსმენია. „ჰიმალაის თერთმეტი მწვერვალიდან უკან დამიხევია და ამიტომაც ცოცხალი ვარ“.

მან მუდამ იცოდა, როდის უნდა შეჩერებულიყო.

იმ დღეს კი ამ „შერეკილმა“ და იმავდროულად ფრთხილმა მთამსვლელმა ბუმბერაზ მთებს რომ აზანზარებდა, ბინის გასაღები დაკარგა და...

ავთანდილ გურასაშვილი



# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ფრჩხილებში მითითებულია კოეფიციენტები შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის

უეფას თასი. 22 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ავენირი (ლუქსემბურგი) — ერებრუ (შვედეთი) | (1,8-1,6). | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| ვიკინგი (ნორვეგია) — ტამპერე (ფინეთი) | (--35,0). | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ვიძევი (პოლონეთი) — ბანგორ სიტი (უელსი) | (--75,0). | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| აკრანესი (ისლანდია) — შელბურნი (ირლანდია) | (--25,0). | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ინკარასი (ლიტვა) — ბრონდბიუ (დანია) | (10,0--). | 3,0 | 3,0 | 1,6 |
| ფლორა (ესტონეთი) — ლილესტრიომი (ნორვეგია) | (25,0--). | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| მიუპა-47 (ფინეთი) — მოზერველი (შოტლანდია) | (1,1-5,0). | 1,8 | 3,0 | 2,5 |
| მარიბორი (სლოვენია) — სკონტო (ლატვია) | (1,7-1,7). | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| სლავია (ჩეხეთი) — შტურმი (ავსტრია) | (1,2-3,5). | 1,8 | 2,8 | 2,6 |
| ლუგანო (შვეიცარია) — ჟენესი (ლუქსემბურგი) | (1,05-7,5). | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ოსიეკი (ხორვატია) — სლოვანი (სლოვაკია) | (7,5-1,05). | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| მალმო (შვედეთი) — დანდალკი (ირლანდია) | (--20,0). | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| სილკებორგი (დანია) — კრუზეიდერსი (ჩ. ირლანდია) | (--10,0). | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| რაფ (ლატვია) — აფან ლიდო (უელსი) | (1,05-7,5). | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| გოტუ (ფარერები) — რეით როვერსი (შოტლანდია) | (30,0--). | 4,4 | 3,2 | 1,3 |
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — სლავია (ბულგარეთი) | (--10,0). | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ჰაპოელი (ისრაელი) — ზიმბრული (მოლდოვა) | (1,6-1,8). | 1,15 | 3,0 | 7,0 |
| გალათასარაი (თურქეთი) — სპარტა (ჩეხეთი) | (1,6-1,8). | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| შლიმა უონდერერსი (მალტა) — ომონია (კვიპროსი) | (10,0--) | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| უიპეშტი (უნგრეთი) — კოშიცე (სლოვაკეთი) | (1,05-7,5). | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| დინამო (ბალარუსი) — უნივერსიტატია (რუმინეთი) | (1,4-2,3). | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| პარტიზანი (ალბანეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | (5,0-1,1). | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| სამტრედია (საქართველო) — ვარდარი (მაკედონია) | ანგარიში — 4,0 | | | |
| დინამო (საქართველო) — ბოტევი (ბულგარეთი) | ანგარიში — 4,0 | | | |
| ოლიმპია (სლოვენია) — აპოლონი (საბერძნეთი) | (2,0-1,5). | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ქსამაქსი (შვეიცარია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | (1,15-4,0). | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ჩერნომორეცი (უკრაინა) — ჰიბერნიანსი (მალტა) | (--50,0). | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| აუსტრია (ავსტრია) — ქიაფაზი (აზერბაიჯანი) | (--99,0). | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| ჰაპოელი (ბ-შ ისრაელი) — ტირანა (ალბანეთი) | (--10,0). | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| ლევსკი (ბულგარეთი) — დინამო (რუმინეთი) | (--5,0). | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| შირაქი (სომხეთი) — ზაგლებე (პოლონეთი) | (1,7-1,7). | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ბორდო (საფრანგეთი) — კარლსრუე (გერმანია) | (1,1-5,0). | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| სტრასბური (საფრანგეთი) — ტიროლი (ავსტრია) | (1,15-4,0). | 1,2 | 3,0 | 6,5 |

ჩემპიონთა თასი. 23 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მაკაბი (ისრაელი) — გრასჰოპერსი (შვეიცარია) | (1,4-2,3) | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ანორთოსისი (კვიპროსი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (4,0-1,15). | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| გეტებორგი (შვედეთი) — ლეგია (პოლონეთი) | (1,55-1,9). | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| სტიაუა (რუმინეთი) — კაზინო (ავსტრია) | (1,55-1,9). | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ოლბორგი (დანია) — დინამო (უკრაინა) | (1,8-1,6). | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ბეშიქთაში (თურქეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია) | (2,5-1,35). | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) | (1,35-2,5). | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| ჰაიდუკი (ხორვატია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | (1,55-1,9). | 1,6 | 2,6 | 3,6 |

თასების თასი. 24 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სიონი (შვეიცარია) — ტილიგული (მოლდოვა) | (1,05-7,5). | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| სილექსი (მაკედონია) — ვაცი (უნგრეთი) | (1,35-2,5). | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ტეუტა (ალბანეთი) — ტპს ტურკუ (ფინეთი) | (1,9-1,55). | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ჰრადეც-კარლოვე (ჩეხეთი) — ვადუცი (ლიხტენშტეინი) | (--99,0). | 1,02 | 4,0 | 15,0 |
| ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — აპოელი (კვიპროსი) | (7,5-1,05). | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| პეტროლული (რუმინეთი) — რექსჰემი (უელსი) | (1,35-2,5). | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ინტერი (სლოვაკეთი) — ვალეტა (მალტა) | (1,1-5,0). | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ლინფილდი (ჩ. ირლანდია) — შახტიორი (უკრაინა) | (5,0-1,1). | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| მურა (სლოვენია) — ჟალგირისი (ლიტვა) | (2,5-1,35). | 1,6 | 2,6 | 3.6 |
| არარატი (სომხეთი) — გკს (პოლონეთი) | (4,0-1,15). | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ბათუმი (საქართველო) — ობილიცი (იუგოსლავია) | ანგარიში — 4,0 | | | |
| ლოკომოტივი (ბულგარეთი) — დერი სიტი (ირლანდია) | (1,35-2,5). | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| კლაკსვიკარი (ფარერები) — მაკაბი (ისრაელი) | (25,0--). | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| მოლდე (ნორვეგია) — დინამო-93 (ბელარუსი) | (1,2-3,5). | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| რეიკიავიკი (ისლანდია) — გრევენმახერი (ლუქსემბურგი) | (1,35-2,5). | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ლანტანა (ესტონეთი) — დაგ ლიეპაია (ლიტვა) | (1,2-3,5). | 1,6 | 2,8 | 3,2 |

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0), ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვეღარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 14-დან 17 საათამდე სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში.

ინგლისის ჩემპიონატი, მე-2 ტური

22.08

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ნიუკასლი | 2,4 | 2,6 | 2,0 |
| მიდლსბრო — საუთჰემპტონი | 1,7 | 2,6 | 3,2 |

23.08

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — მანჩესტერ სიტი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ევერტონი — არსენალი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| მანჩესტე იუნ. — ვესტ ჰემი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ნოტინგემი — ჩელსი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ქუინზ პარკი — უიმბლდონი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| შეფილდი — ბლექბერნი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ტოტენჰემი — ასტონ ვილა | 1,4 | 2,8 | 4,4 |

პორტუგალიის სუპერთასი. მე-2 მატჩი

23.08

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტო — სპორტინგი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

(პირველი მატჩი — 0:0)

შემდეგი პროგრამა

გერმანიის თასის 1332 ფინალი 26-27.08
ინგლისის ჩემპიონატის მე-3 ტური. 26-27.08
შოტლანდიის ჩემპიონატის I ტური 26.08
საფრანგეთის ჩემპიონატის მე-6 ტური 26.08
რუსეთის ჩემპიონატის 22-ე ტური 26.08
იტალიის ჩემპიონატის I ტური 27.08

ფორმულა-1. ბელგიის დიდი პრიზი. 27.08

## კრივი

# ესეც თუ გამარჯვებაა!?

29 წლის მაიკ ტაისონმა, ვინაც ოთხ წელზე მეტია; არავის შერკინებოდა, იმპრესარიო დონ კინგის შემწეობით იშვიათი კონტრაქტი დაუდო ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელსა“ და „შოუ თი-ვი“ საკაბელო ტელევიზიას: უახლოესი 12 თვის მანძილზე მსოფლიო ყომარბაზობის დედაქალაქში ექვს ჩხუბში რომ იმონაწილევებს, სანაცვლოდ 100 მილიონ დოლარს მიითვლის.

ტაისონს ციხე ერთობ მოუხდა. ისე განათლდა, რომ კინაღამ უმაღლესდამთავრებულის ატესტატზე „ეგზამენიც დაიჭირა“. ასეა თუ ისე, ნასწავლობით მაინც ვერ შეედარა პირველ მეტოქეს – 26 წლის ბოსტონელ თეთრკანიან პიტერ მაკნილის, რომელსაც უნივერსიტეტიც დაუსრულებია და საჯარო გამოსვლებისას თურმე ისეთ რთულ სიტყვებსაც ხმარობს, რომ დამსწრეებს გაგება უჭირთ.

მაკნილი კარგი მებრძოლია, თუმცა აქამდე ერთობ ვიწრო წრეში კრივობდა. ამიტომ იყო, რომ წინა 37 ბრძოლის ჯამური ჰონორარით ახლოსაც ვერ მივიდოდა იმ თანხასთან – 700 ათას დოლართან, რასაც ტაისონთან ჩხუბისთვის მისცემდნენ.

მაკნილი ჩამომავლობითაც მოკრივეა. ბაბუამის პიტერს 1928 წელს, ამსტერდამის ოლიმპიადაზე უასპარეზია, მამამისი თომი კი, ერთობ ზანტი, მაგრამ უშიშარი კაცი, ამ 30 წლის წინ თვით ფლოიდ პატერსონს გასძალიანებია იმის და მიუხედავად, რომ ათჯერ (!) ჩავარდნილა ნოკდაუნში.

შერკინება შაბათს, ნაშუალამევისთვის იყო დანიშნული, პირველი დიდი პრესკონფერენცია კი ხუთშაბათს დღისით გაიმართა. მენეჯერმა კინგმა გათქვა თავისი შეგირდის კომერციული საიდუმლო – ამ ბრძოლისთვის ჰონორარად 25 მილიონს მიიღებსო. ამან გაანაწყენა თავად მოკრივე.

ლას-ვეგასში ნეონის სინათლეები იუწყებოდნენ რინგზე ნაციხარის დაბრუნებას. რინგის ახლობელი ბილეთები 1500 დოლარად ფასობდა. მიუხედავად ამისა, 16 ათასივე ადგილი შეივსო. ფასიანი „შოუ თი-ვი“ აბონენტებს 60 დოლარად სთავაზობდა შერკინების პირდაპირ რეპორტაჟს; ამასთან, კისრულობდა, რომ თუ შერკინება ორ რაუნდზე ნაკლებს გასტანდა, ხელისმომწერებს 5 დოლარს მორალურ კომპენსაციად დაუბრუნებდა.

არავის ეეჭვებოდა ტაისონის მოგება, თუმც კი ცნობილი იყო, რომ სპარინგებით გატანჯული კაცი, მუჰამედ ალისა არ იყოს, რინგზე ტკივილგამაყუჩებელი ინექციების წყალობით თულა გადიოდა. ღელავდნენ ე.წ. ჰაი-როლერებიც, ანუ ის ყომარბაზები, დიდ ფსონებს რომ ჩადიან ხოლმე კრივზე. შერკინებაზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა რიცხვმა ხუთი ათასს გადააჭარბა.



სწორედ ამ ქალის დეზირა ვაშინქტონის გაბახ-ჯთვის ჩაუყუდეს ტაისონი

ასეთ ბრძოლას, როგორც წესი, რამდენიმე ე.წ. ქერთენ-რეიზერი უსწრებს ხოლმე. ესენია სხვა შერკინებები, მეტწილად – მსუბუქი წონებისა, რომელთა უმთავრესი მიზანი ხალხის შექცევა და მთავარი სეირისთვის შემზადებაა. აი, ახლაც ტაისონ – მაკნილის შერკინებამდე კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) ვერსიით მსუბუქწონოსანი ჩემპიონი, მექსიკელი მიგელ ანხელ გონზალესი ამერიკელი პრეტენდენტის – ლემან მერფის ხელყოფისაგან იცავდა ტიტულს. შედეგი რომ გამოაცხადეს (გონზალესმა ქულებით გაიმარჯვა), მეტოქეთა ბანაკები რინგზე გაიჭრნენ და იქ სპორტსმენებზე უკეთესი მუშტი-კრივი გააჩაღეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

ამასთან შედარებით მთავარი ბრძოლა ულიმღამო რამ გამოდგა. მან ოდენ 89 წამს გასტანა. მაკნილიმ თავიდანვე გაიწია ტაისონისაკენ, მაგრამ მე-7 წამზევე ნოკდაუნში აღმოჩნდა. რომ მოითქვა სული, თერმა ისევ ისე ჯიქურ შეუტია ზანგს, რომ უკან დაახევინა და ისეც დააბნია, რომ ტაისონმა ორი სვინგი მეტოქეს ააცდინა, მაგრამ მერე მარჯვენა აპერკოტით მეორე ნოკდაუნში გაგზავნა.

ცხადი იყო, რომ მაკნილის უჭირდა, მაგრამ არა იმდენად, რომ მეტოქეს დანებებოდა. რინგზე პირსახოცის გადმოგდება, ზემოთხსენებული ჰაი-როლერების მოთხოვნით, ლას-ვეგასში აკრძალულია. ამიტომ იყო, მაკნილის მენეჯერი ვინი ვეკიონი რინგზე რომ გადახტა და შეგირდს ჩხუბის გაგრძელება აღარ დაანება.

ამ წესის დარღვევისთვის ვეკიონის დროებით დაუკავეს ამ შერკინებიდან წილად ხარგო 179 ათასი დოლარი. მენეჯერს 30 დღე აქვს თავის სამართლებლად. მან აქამდე მხოლოდ ისა თქვა, შემეშინდა, მაკნილის არ გაეზიარებინა კოლუმბიელი ჯიმი გარსიას ხვედრი, იმავე, „ემ-ჯი-ემის“ რინგზე ნაცემი ამ სამი თვის წინ რომ მოკვდაო.

თავად მოკრივე უკმაყოფილო ჩანდა. დაუწერელი წესისამებრ, მან დისკუსია გაუმართა მაყურებელს და გამეტებით დაუწყო ყვირილი, უყურეთ ვიდეო-ჩანაწერს და მერე განსაჯეთ, შემეძლო ბრძოლის გაგრძელება თუ ვერაო.

ტაისონიც შემცბარი ჩანდა. სამაგიეროდ, კინგმა შეუქო შემართება მაკნილის, ეგრე ვაჟკაცურად ჩემს შეგირდს ჯერ არავინ შებმიაო.

ახლა დღე-დღეზე მოელიან, რომ ვბკ ტაისონს ტიტულის ნომერ პირველ პრეტენდენტად სცნობს. ჩემპიონი ოლივერ მაქქოლია, ტაისონის მორიგ მეტოქედ, 4 ნოემბრისთვის კი ბასთერ მათიას ჯუნიორი (უმცროსი) ჰყავთ შეგულვებული.

მედიამ მოკლედ ასე შეაფასა ტაისონის რინგზე დაბრუნება – ფიესტის ნაცვლად ფიასკო მივიღეთო!

ვალერი ჯიქია

## ჩოგბურთი

# კორტებზე, წინა კვირაში

14-20.VIII

ქალთა კანადის ღია პირველობა. ტორონტო ნახევარფინალი. მონიკა სელეში (აშშ) — გაბრიელა საბატინი (არგენტინა) 6:1, 6:0; ამანდა კეტცერი (სამხ.აფრიკა) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) 6:4, 6:3. ფინალი. სელეში — კეტცერი 6:0, 6:1

სელეში კორტს 837-დღიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა. მასზე საწერად 400 ჟურნალისტი მოგროვდა. განთესილთაგან შეჯიბრს თავიდანვე გამოაკლდა მერიჯო ფერნანდესი (აშშ). მონაწილეთა გადანაწილების შემდეგ მონიკას პირველ მეტოქედ კორინა ჰაბსუდოვას (სლოვაკეთი) ნაცვლად ერგო კიმბერლი პო (აშშ), ვისაც სელეშმა 6:0, 6:3 მოუგო. მერე მან დაამარცხა ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 6:2, 6:2 და ანკე ჰუბერი (გერმანია) 2-0, თუმც მეტისმეტი ვარჯიშით მარცხენა მუხლი გაუსივდა და ტაბლეტებით უმკურნალა, ამასთან სათბურიც გაიკეთა. განუთესელმა კეტცერმა დაამარცხა შტეფი გრაფი (გერმანია) 3:6, 6:2, 7:6 (მანამდე შტეფის ზედიზედ 33 მატჩი გაემართა წაუგებლად), საბინე აპელმანისი (ჰოლანდია) 5:7, 6:3, 6:1 და მარი პირსი (საფრანგეთი) 6:4, 5:7, 6:0. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) მესამე წრეში გააგდო ჰელენა სუკოვამ (ჩეხეთი) 7:5, 6:4. სუკოვას მოუგო საბატინიმ. შეჯიბრს სულ 102 ათასი მოსეირე დაესწრო, რაც ქალთა ტურნირების რეკორდია.

ნიუ-ჰეივენი (კონექტიკუტი, აშშ). „ვოლვოს“ ტურნირი. მეოთხედფინალი: აგასი (აშშ) — ბრუგერა (ესპანეთი) 6:4, 6:1; ვილანდერმა (შვედეთი) დაამარცხა როსე (შვეიცარია). კრაიჩეკმა (ჰოლანდია) — ბეკერი (გერმანია) 2-1; კაფელნიკოვმა (რუსეთი) — ალბერტ ჩანგი (კანადა). ნახევარფინალი: აგასი — ვილანდერი 6:3, 6:3. კრაიჩეკი — კაფელნიკოვი 2-0. ფინალი: აგასი — კრაიჩეკი 3:6, 7:6, 6:3

ანდრე აგასი ერთ მატჩ-პოინტს გადაურჩა, მან წელს მეოთხედ, სულ კი — მეშვიდედ მოიგო ტურნირები.

აშშ-ის ხისტფარიანი პირველობა. ინდიანაპოლისი. ნახევარფინალი: კარბახერი (გერმანია) — სამპრასი (აშშ) 4:6, 6:4, 6:1; ენკვისტი (შვედეთი) — ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:1, 1:6, 6:3. ფინალი: თომას ენკვისტი — ბერნდ კარბახერი 6:4, 6:3

ენკვისტმა წელს მეოთხე ტურნირი მოიგო და კარიერაში პირველად შეაღწია კლასიფიკაციის პირველ ათეულში.

ირაკლი ნინუა

## აქეთური, იქითური

კვირას, ბრნოში, მოტოციკლისტთა ჩეხეთის დიდი პრიზი მოიგო იტალიელმა ლუკა კადალორამ (იამაჰა), რომელსაც „პოულიც“ ეჭირა. თავიდან დაწინაურდა 19 წლის იაპონელი აბე, ვისაც მალევე გაუსწრო ჩემპიონმა და ლიდერმა მაიკ დუენმა (ჰონდა, ავსტრალია), მაგრამ ფინიშამდე რვა წრე რომ რჩებოდა, დუენს კადალორამ გაუსწრო. დუენი ამას ალბათ არც დაუდარდიანებია, ვინაიდან თავად მაინც აჯობა დარელ ბითის (სუძუკი, ავსტრალია). ჩემპიონატის ბოლომდე სამი ეტაპილა რჩება. დუენს **190** ქულა აქვს, ბითის — **171**, კადალორას — **135**. ეტაპის გამარჯვებულს **25** ქულა ერგება, მეორე ადგილზე გასულს — **20**, შემდეგებს კი **16, 13, 11, 10** და ა.შ.

*

ბრიტანეთში წინა უქმეებზე გაჩაღდა ლიგის რაგბის ბოლო ტრადიციული ჩემპიონატი, რომელიც იმის გამო, რომ მარტიდან ბრიტანელი პროფესიონალები ახალ ევროპულ სუპერ-ლიგაში უნდა ჩაებან, მოკვეცილია. შეჯიბრი სპონსორის — „სთოუნზ ბითერზის“ ხათრით კვლავაც მისი სახელითაა ცნობილი, ოღონდაც საიუბილეოცა ჰქვია, ვინაიდან **29** აგვისტოს ცამეტკაციან თამაშს ასი წელი უსრულდება. ახალი სახელი ჰქვია ზოგ ცნობილ კლუბსაც. ასე მაგალითად, „ბრედფორდ ნოზერნს“ (ჩრდილოეთის ბრედფორდს) ამიერიდან „ბულზს“ (ხარებს) დაუძახებენ.

*

მოგზატკეცილე ველოსიპედისტების ერთდღიან შეჯიბრებათა მსოფლიო თასის დამთავრების ორი რბოლაღა უკლია. კვირას, მეცხრე შეჯიბრი, ციურიხში რომ გაიმართა, მოიგო ბელგიელმა იოჰან მეზეუვმა და ფაქტიურად დაიბევა მსოფლიო თასიც, ვინაიდან 88 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ფრანგ ლორან ჟალაბერს, რომელიც დარჩენილ რბოლებში ასპარეზობას არ აპირებს.

*

ევროპელი ვაჟი ბალახის ჰოკეის მოთამაშეები კონტინენტის პირველობისთვის დუბლინში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ინდოეთმა და მალაიზიამ კი წინა კვირაში ხუთტესტიანი სერია გამართეს. გაიმარჯვეს სტუმრებმა, ინდოელებმა **3-1** (**1:2, 6:0, 1:0, 3:3, 3:0**).

*

სექტემბერში ჰარარეში აფრიკის თამაშები უნდა გაიმართოს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზიმბაბვეს მთავრობამ შეჯიბრების ორგანიზაციას **25** მილიონი დოლარი მოახმარა, **300** ათასი კიდევაა საჭირო. თამაშებში **42** ქვეყნის **4** ათასზე მეტი ათლეტის მონაწილეობას ვარაუდობენ.

*

გამოვლინდნენ გეილური ბურთაობის სრულიად ირლანდიის პირველობის ფინალისტები. ნახევარფინალებში თაირონმა (ალსთერი) **1,13:0,13** დაამარცხა გოლვეი (ქონოთი), ხოლო დაბლინმა (ლენსთერი) **1,12:0,12** — ქორქი (მანსთერი). ფინალი სექტემბრის მესამე კვირა დღეს გაიმართება დუბლინის „ქროუქ პარკზე“, რომელიც ირლანდიური ხალხური თამაშების საგანგებო სარბიელია.

## მძლეოსნობა

# ოქროს ზოდების ხათრით

თითქოს უფულადპრიზებო მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებას და „გრან პრის“ სარფიანი შეჯიბრებების განახლებას ელოდნენო, მძლეოსნებმა მყის დაამყარეს გადასარევი მსოფლიო რეკორდები და ფრიად დონეზეც იასპარეზეს.

ოთხშაბათს, 16 აგვისტოს, ციურიხში უხვი საპრიზოფონდიანი ტურნირი – „ველტკლასსე“ გაიმართა. ჯილდოებად 5 მილიონი დოლარი უნდა დარიგებულიყო. გარდა მაგისა, „გრან-პრის“ წესებით, მსოფლიო რეკორდის დამამყარებელს 50 ათასი დოლარი და ოქროს ერთკილოიანი ზოდიც ერგებოდა.

3000 მეტრზე წინაღობებიან რბენაში ახალი ეპოქა დადგა: კენიელმა მოუზეს კიპტანუიმ პირველმა დაძლია რვაწუთიანი ბარიერი და თავისივე მსოფლიო რეკორდი ორწამნახევრით გააუმჯობესა. ახალი რეკორდი 7.59,18-ია.

გაუმჯობესდა კიპტაუნის კიდევ ერთი რეკორდი – 5000 მეტრზე რბენაში, ოღონდაც ეს მოახერხა ეთიოპმა ჰაილე გაბრესილასემ, ვინაც კენიელის შედეგს ერთბაშად 11 წამი ჩამოაკლო – 12.44,39.

ალჟირელმა ნურადინ მორსელიმ მილზე რბენაში თავისსავე რეკორდს შეჰბედა, მაგრამ 0,42 წამი დააკლდა. მისი იმდღევანდელი მიღწევა 3.45,21 მაინც დიდებულია.

ბრიტანელმა ლინფორდ ქრისთიმ დაამტკიცა, რომ მსოფლიო პირველობაზე განცდილი მარცხის მიუხედავად მაინც უპირველესი სპრინტერია. 100 მეტრზე რბენაში მან აჯობა გეტებორგის ფინალური გარბენის ერთბაშად ექვს მონაწილეს, მათ შორის – სამივე პრიზიორს. ქრისთის დროა 10,03.

გადანიელებულ კენიელ სამსონ კიპკიტურს სეზონის საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა 800 მეტრზე – 1.42,87, ირლანდიელ სონია ოსალივანს კი – 3000 მეტრზე (8.27,57). 200 მეტრზე ქალთა გარბენში გვენ თორესმა (აშშ) ისევ დაამარცხა მერლინ ოთი (იამაიკა), მაგრამ გეტებორგისაგან განსხვავებით მისთვის დისკვალიფიკაცია აღარ მიუციათ.

ორი დღის შემდეგ, პარასკევს, კელნის შეჯიბრში თავი ისახელეს ჭოკით მხტომელებმა. ჩეხმა ქალმა დანიელა ბარტოვამ დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი, ორი კვირის წინ გერმანელმა ანდრეა მულერმა რომ წაართვა. ჩეხმა ორი სანტიმეტრი წაუმატა გერმანელის შედეგს – 420-ზე ახტა.

სამხრეთაფრიკელმა ოკი ბრიტცმა 603 სანტიმეტრი დაძლია და ბუბკას მსოფლიო რეკორდს – 614 სანტიმეტრსაც შეუტია, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად ამისა, ბრიტცი სულ მესამე კაცი მხტომელი ყოფილა, ვინაც 603 გადაულახავს.

იქვე 200 მეტრზე თორესმა კიდევ ერთხელ დაამარცხა ოთი.

რეზო ნემსაძე

## ფორმულა 1

# იტალიური საავტომობილო როქი

გაილია ფორმულა-1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარი და გამართლდა ჭორებიც, ძალიან დიდი მრბოლების აქეთ-იქით გადასვლას რომ მოასწავებდა.

როგორც ვარაუდობდნენ, მიხაელ შუმახერმა უგანა „ბენეტონს“, რომელსაც არც აქამდე ემადლიერებოდა მაინცდამაინც. „შუმი“, ვინაც ათი ეტაპის შემდეგ 11 ქულას უგებს დეიმონ ჰილს, 16 მილიონ დოლარად შეუამხანაგდა მეორე იტალიურ გუნდს – „ფერარის“, თუმც ამას ეჭვირა, რაკილა გერმანელი პილოტის ჩასიძება სულ 47 მილიონი დაუჯდება.

ჰილი არსად გადასულა. ბრიტანელი კვლავაც „უილიამსით“ ირბოლებს, თუმც ამბობდნენ, „ბენეტონში“ გადავაო. გაისად მას უპარტნიორებს კანადელი ჟაკ ვილნევი, რომელიც ერთობ წარმატებით ასპარეზობს ამერიკაში, იქაური „ინდიკარის“ ჩემპიონატში.

ჰილის წლევანდელი ამხანაგი დევიდ კულტჰარდი „მაკლარენში“ აპირებს გადასვლას. ეს ბრიტანული გუნდი იოლად შეელია მარკ ბლანდელს, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ მის მაგივრად „ფერარიდან“ აიყვანდა ავსტრიელ ვეტერან გერჰარდ ბერგერს. ბერგერმა იტალიელებთან დარჩენა ირჩია, მით უფრო, რომ მისი წლევანდელი მეწყვილე, ფრანგი ჟან ალეზი „ბენეტონში“ გადავიდა.

მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ „ფერარმა“ და „ბენეტონმა“ ერთმანეთს გაუცვალეს შუმახერი და ალეზი. ერთი სიტყვით, იტალიური როქი მივიღეთ.

## რაგბი

# კვანძი უცნაურად გაიხსნა

წინა კვირაში მსოფლიო რაგბის დასაპყრობად წამოწყებულმა ომმა ჯერ კულმინაციას მიაღწია, მერე კი კვანძი უეცრად და უცნაურად გაიხსნა: ჯერ იყო და სარაგბო ესტაბლიშმენტის დაქცევის მსურველმა, გერი პეკერის „მსოფლიო რაგბის კორპორაციამ“ მიიმხრო სამხრეთი აფრიკის ბობოლა პროვინციების ის მოთამაშეები, რომლებიც ნაკრებში არ ირიცხებიან, ორი დღის შემდეგ კი თავად კაპიტულაცია გამოუცხადა ავსტრალიის რაგბის კავშირს და დიდ გეგმებზე ერთიანად აიღო ხელი. გამოხდა კიდევ სამი დღე და ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის“ თანავარსკვლავედმა, რაღა თქმა უნდა, ლომუს თამადობით, საბოლოოდ შეჰფიცა ერთგულება თავის რაგბის კავშირს, რის შედეგადაც მარტორქა-გარემარბი რაგბში მინიმუმ ოთხი წელი დარჩება.

ერთი სიტყვით, გაისად ჩვეულებრივ მოეწყობა ტურნეები, სამხრეთ ნახევარსფეროში კი რუპერტ მერდოქის შემწეობით ორი ახალი შეჯიბრებაც გაიმართება – ორივე ესტაბლიშმენტის ეგიდით.

შაბათს სამხრეთი აფრიკის ქარრის თასზე პირველი წრე დასრულდა. დაწინაურდა 1992 წლის ჩემპიონი ნატალი.

19.VIII: დას.კონცხი 45 — ნარინჯი 24; ალმ. კონცხი 19 — ნატალი 39

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნატალი | 5 | 4 | 0 | 1 | 146:118 | 8 |
| ჩრდ. ტრანსვაალი | 5 | 3 | 0 | 2 | 120:74 | 6 |
| დას. კონცხი | 5 | 3 | 0 | 2 | 147:110 | 6 |
| ტრანსვაალი | 5 | 3 | 0 | 2 | 128:121 | 6 |
| ალმ. კონცხი | 5 | 1 | 1 | 3 | 78:131 | 3 |
| ნარინჯი | 5 | 0 | 1 | 4 | 99:170 | 1 |


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29